№ 25.

ივერია

წელიწადი პირველი

18 აგვისტ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოკვის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ დოროთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.
ერთის თვისა, გაგზავნით და გუგზავნელად. . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . — 15 კან.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებას და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულ ენაზე.

საძიებელი: I. რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია. — II. საქართველოს მატიანე. — III. ომის ამბები. — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V. თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის საბჭოთა ურიერობა თელავში 1875—1877 წ. . . . . — მგზავრის წერილები სვანეთზედ.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის მარიამობისთვიდამ პირველს მომავალს იანვარამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია

საკვირველი ზედმოქმედება იცის საფრანგეთმა სხვა ქვეყნებზედ. 1789 წ. აქეთ, როდესაც საფრანგეთმა ყველა ევროპიის სახელმწიფოთა უწინარეს ადმირთა თავისუფლების დროშა, საფრანგეთის სმაურობა ნაღარასავით გაისმოდა მთელ ევროპაში და სან აქ ეძლევოდა ბანი და სან იქ. ასე იყო წარსულში და ამ ჟამადაც თითქმის ასე არის. რად იყო ასე—ამის გამოკვლევას ესლა ვერ შეეუდგებით. ჩვენ აქ მოგახსენებთ მხოლოდ მას, რომ აწინდელს საფრანგეთის მოძრაობასაც არამც თუ მარტო თვით საფრანგეთისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ მისი აკი თუ კარგი სხვა სახელმწიფოს ბედსაც ერჩის. მართლა და დაგვკვირდეთ აწინდელს საფრანგეთის მოძრაობის დედა-აზრს.

ამ ჟამად საფრანგეთში ორი ძალა, ორი მიმართულება ებრძვის ერთი ერთმანერთს—რესპუბლიკა და მონარქია. გულწრფელთა რესპუბლიკელთა აზრით საფრანგეთის კეი-კეგლასი და განუსაზღვრელი ჩაგვრა იქიდგან წარმოსდგა, რომ მისი ბედი მის ხელშივე არ იყო, და კის ხელშიაც იყო—მათს საფრანგეთლობას სალსის დაჩაგვრა უეჭველად მოსდევდა. მაშასადამე ფრანგეთის განწყობილებასა იმ გვარი უნდა იყოს, რომ საპოლიტიკო ძალა, საქმეთგანჩინება და მიმდინარეობა თვით საზოგადოების უმრავლესობის, ე. ი. სალსის ხელთ იყოს. ამ გვარი განწყობილება არის მხოლოდ რესპუბლიკა. მონარქიული საფრანგეთის საზოგადოებაში უპირატესობა უფრიან სიმდიდრეს, გვარიშვილობას და სხვა ამ გვარ გარეგანს ვითარებას; რესპუბლიკაში კი ჯილდო და პატივი ეკუთვნის მხოლოდ ჭკვას, ცოდნას, ზნეობას, მხნეობას და გულწრფელს მამულის მოყვარეობასაო. ამ გვარი მიმართულება და განწყობილება მონარქიელთათვის სიკვდილია. სადღაა ის ნეტარი დრო, როდესაც მათი ფუჭი გარეგანი ბრწყინვალება არამც თუ მარტო საკუთარს სალსს უსვამდა თავსს, არამედ მისი სხვანი მთელს ევროპას სწვდებოდა? ახა რესპუბლიკის ეურებაში რაგორ არ უნდა აემღვრას გული კარლო X-ს, ლუიფილიპისა და ნაპოლეონ III-ს შთამომავლობას და მათის წყობილობით გამოკვებულთ პირთა?

აი, მოკლეს სიტყვით, რაში მდგომარეობს საფრანგეთის დასთა დედა-ბრძოლა. მისი მნიშვნელობა თვით საფრანგეთისათვის ცხადია და ლაპარაკიც საჭირო არ არის. ასლა ვნახოთ რაგორ უნდა მოუსდეს ეს მოძრაობა საფრანგეთისა სხვას იმისუასლო ეს მოსაზღვრე სახელმწიფოს გერმანიას....გერმანიის მაგალითი მით უფრო გვეხერხე-

ბა რომ იგი, როგორც მოგეხსენებათ, გადამტერებულია საფრანგეთზედ, და ამ მტრობის დედა-მიზეზიც გამოგეიჩნდება ამ მოკლე წერილში.

გერმანიაში თუმცა კონსტიტუცია სუფევს, მაგრამ კი იმ კონსტიტუციას, რომელიც მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად არის დადგენილი და არა მისის ნამდვილის ბედნიერებისათვის. რომ გერმანიის კონსტიტუცია მართლა ამ გვარია, ეს „ივერიის“ მკითხველმა კარგათ იცის. გერმანიაში მმართველთა და ხალხის შორის იმ გვარივე განხეთქილება სუფევს, რომლის მოსპობისათვის ოდესაც რესპუბლიკის არსებითი მიდრეკილება. თუმცა ცარიელი რესპუბლიკა გერმანიის ხალხის ცხოვრებას ბირ და ბირ ძირიანად ვერ შესცვლის, მაგრამ ხალხს ამ ცვლილების მძლავრს ფარ-ხმალს აძლევს ხელში, ე. ი. საპოლიტიკო ძალას. გერმანიაში, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს სოციალ-დემოკრატების დასი, რომლის გულითადი სურვილი ამ საპოლიტიკო ძალის მოპოვება. გარდა ამისა ჩაგრულთ მდგომარეობა, ამბობენ რესპუბლიკელნი, გერმანიაში თუ საფრანგეთში ერთი და იგივეა. მაშასადამე მათი ერთ ადგილს წარმატება და წინ წადგომა მეორე ადგილშიაც იმედს უღვიძებს ხალხს და გულს უკეთებს. გარდა ამისა მაგალითი დიდი წამახალისებელი რამ არის.

ეი ამ მხრით არის საფრანგეთის რესპუბლიკა საშიში იმ გვარ სახელმწიფოსათვის, როგორიც გერმანია. მართლა და წარმოიდგინეთ, რომ იმისთანა მძლავრ სახელმწიფოში, როგორიც საფრანგეთია, სამუდამოდ მკვიდრდება რესპუბლიკა, რომლის დედა-აზრი ზემოთ მოვიხსენიეთ. რა ელდა უნდა ეცეს და რა სევდა უნდა აეშალოს მის მეზობელს სახელმწიფოს ამისგამო? მეორეს მხრით, რა გრძნობამ უნდა იფეთქოს ამ სახელმწიფოის ქვეშევრდომთა გულში? დაჩაგრული, ოდაჯ-გაწყვეტილი გერმანიელი იტყვის: მართალია ვიტანჯები, მაგრამ თავს არ მოვიხრი, რადგანაც მძლავრი და გულწრფელი მეგობარი მყავს, რომელიც ყოველთვის წამომესარჯება. ამას მოჰყვება სულის აღმატებულება და გულის სიცხოველე.

მაშასადამე საფრანგეთში რესპუნლიკის დამკვიდრება გერმანიისათვის სასურველი არ უნდა იყოს. გერმანია უყურებს საფრანგეთს როგორც რევოლიუციის ბუდეს, საიდამაც მის თვალით, იბადება ყოველი ბორტება და ყოველგვარი შფოთის ჩამომგ ები თესლი. მისის მტრობაში ყოველთვის დიდ-ძალი ადგილი აქვს მასაც, რომ გერმანიას შურდა საფრანგეთის გაგლენა და ღონიერობა. ძნელი სათქმელი კია ამ ორთა მიზეზთა შორის რომელმა უფრო ძლიერ იმოქმედა გერმანიაზედ. რაც უნდა იყოს ეს ორივე მიზეზნი მაინც დვიძელი ძმანი არიან.

1870 წ გერმანიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მე მხოლოდ ნაპოლეონის ჯავრი მაწყინა და მხოლოდ იმას ვეომებიო, და თვით საფრანგეთს და მის ხალხს კი არ შეეხებიო. მაგრამ როდესაც 4 სექტემბერს საფრანგეთმა ნაპოლეონი ტახტიდამ ჩამოაბძანა და რესპუბლიკა დაადგინა, გერმანიამ არამც თუ თოფ-იარაღი არ დაუწყო, არამედ უკადრისი იკადრა და თავის სიტყვას გადუდგა. მაშინ არც ერთმა სასულმწიფომ ხელიც არ განძრია, რომ გერმანია შეეკავებინა. გერმანია დიდი მადლობელი იყო რომ ეს ასე მოხდა . . . . . .

. . . . . .

. . . . . .

გერმანია უთუოდ ასე ფიქრობს:—ოსმალეთში რაც უნდა მოხდეს სმას არ ამოიღებო, ოღონდ კი საფრანგეთის ალსრებაში კი დაბრკოლებას ნუ მოგცემენო. იქნება გერმანია იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის გაქარწყლებას უფრო ნაკლები დაბრკოლება მოელის, ვიდრე ოსმალეთისას. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

საქართველოს მატიანე

ყვარლიდამ ჩამოასულმა გლეხმა დიდი ქება გვიამბო იქაურის ბოლიციის ბრისტავისა. „ყვარელიო, ჭსთქვა გლეხმა, ხომ მოგეხსენებათ გაჩანაგებული იყო ქურდობისა და ცეცხლის წამკიდებლებისაგან. რაც ეს დალოცვილი ახალი ბრისტავი მოგვიგიდა, ყოველივე აგაზაკობა მოისპო. ბრისტავმა თუ სადმე ბორკილ შეერილი ცხენი დაინახაო, იმის პატრონს დაიბარებს და დასტუქსავსო. ბორკილი რად შეგიყრია? ნუ თუ ქურდობისა გეშინიანო, ეუბნება ბრისტავი: მაშ რისთვისა გარ აქაო, თუ ცხენსაც ვერ შეგინახავო. გამოუყარე ბორკილიო, აბა ვნახოთ ვინ გაბედავს და მოიპარავსო.“ მართლაც, დაუმატა გლეხმა, ჩვენს სოფელშიო ქურდობის და აგვაცობის ხმა მიჭსწყდაო მას აქედ,

რაც ის ღვთისაგან დალოცვილი კაცი ჩვენში ბრისტანეთად მოვიდაო“.

ესევე გვიგონეთ ჩვენ იქაურ თავადის შვილისა კანაც, ძლივს ხალხის გულ-შემატკივარი კაცი არ გამოჩენილა!

ქალაქში ამბავი ჩამოვიდა, რომ კახეთში ამ მოკლე ხანში სამი-ოსმალო სალდათის ტანისამოსით კახეთში ყოფილა. სანა სოფელში მისულან, მოუტყუებიათ, რომ რუსის ჯარები მოდისო და ჩვენ წინ გამოგვგზავნესო სურსათის და სადგომების მოსამზადებლადაო. ერთი მათგანი თურმე რუსულს ლაბარაკობდა. ამ მოტყუებით უვლიათ სოფელ-სოფელ და ბოლოს მთებზედ გადასულან და სალეკოში მისულან მხოლოდ მაშინ შეუტყვიათ, განცა ყოფილან ეს ვაუბატონები.

„ივერიის“ კორრესპონდენციები.

მინგრელიის სასულიერო სასწავლებელი — მრთელს მინგრელიის სამღვდელოებას აქვს ერთი ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ეხლა არსებობს დაბა მარტვილში. ეს სასწავლებელი არის საუნჯე განათლებისა, არამც თუ მარტო მინგრელიის სამღვდელოებისათვის, არამედ საეროსათვისაც, განსაკუთრებით სენაკის მაზრაში, სადაცა, გარდა საგლეხო შკოლებისა, არ არსებობს არც ერთი სასწავლებელი, რომელშიდაც შეეძლოთ მიღება დასაწყისი განათლებისა თავად-აზნაურის შვილებსა. დარიბ თავად-აზნაურების შვილები მხოლოდ ამ სასწავლებელში ჭეშულობენ ბირველს და უკანასკნელს იმედს თავის განათლების მიღებისას. აქიდან ცხადათ სჩანს, რომ ყოველი ნამდვილი შვილი მინგრელიისა როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო წოდებისაცა, რომელსაც კი სწამს განათლება, როგორც ბირველი ბირობა საზოგადო ცხოვრების განკარგებისა, უნდა ცდილობდეს სიტყვით თუ საქმით, ამ სასწავლებლის წარმატებაზედ. მაგრამ, საუბედუროთ ჩვენდა, ძლიერ ნაკლებ გვხვდავთ ასეთს ბირებს მინგრელიაში. აგერ ხუთი წელიწადი გადის, რაც მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში უმსგავსოდ და უხეიროდ მიდის ყოველივე საქმე თვით ზედამხედველის წყალობით, მაგრამ ამ უკანასკნელს დრომდის არა თქმულა რა ამაზედ.—

მინგრელიის სასულიერო სასწავლებელი ეხლა არის უკიდურესს მდგომარეობაში: ის არის დაცემულ და დაუძლურებულ სულით და ხორცით, მოკლებულ იმ ზნეობითს ძალას, რომელიც მუდამ ადვიძებს და აცხოველებს ახალგაზდობას. სწავლა მიდის უსულოთ და ამაგებით; მასთან ზნეობითი მხარეც შაგირდებისა თან-და-თან ფუჭდება. იშვიათად იპოვით ამ სასწავლებელში შაგირდს, რომელსაც შეეძლოს კანონიერად შედგენა ორ-სამ ფრაზისა ქართულს ან რუსულს ენაზედ. არითმეტიკაზედ ნურასფერს მკითხავთ. სად სასულიერო სასწავლებელი და სად არითმეტიკა: ესენი ერთმანეთში არ მოითავსდებიან. ამ სასწავლებელში არითმეტიკიდან იმდენი იციან, რამდენიც საჭიროა ნოეს კიდობნის დასაზომად, თუ რამდენი წყრთა ჭონია მას სიგძე, სიგანე და სიმაღლე. როგორც ხედავთ მკითხველო, ამ უბირატეს საგნებში მოსწავლეები ძლიერ სუსტათ არიან. თუ ამ უმთავრესს საგნებს ასე უხეიროთ ასწავლიან, სხვა საგნებზედ რადა უნდა გსთქვათ.—

რა არის მიზეზი ამ ნაირად საქმის მიმდინარეობისა მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში? ამის მიზეზი არ არის არც სამღვდელოება, რომელიც საკმაოდ ამლევს ნივთიერს ღონეს, და არც ადგილის მდებიარება, სადაც ეხლა არსებობს ეს სასწავლებელი. ამის მიზეზი არის ზედამხედველი სასწავლებლისა და მის თანა-შემწენი მასწავლებელნი. ეხლა მოკლეთ მოგითხრობთ მათს ვითარებას, რომლისაგამოც არ ხეირობს ეს სასწავლებელი. უმთავრესი საგანი მათის ცხოვრებისა არის სმა და ჭამა, მხიარულება და სხვა და სხვა საქმეში დროს გატარება.

განათლებულმა ზედამხედველმა ზარმაცობაში ეველას გადაჯარბა. მას ყოველ დღეს აქვს რამოდენიმე გაკვეთილები, მაგრამ კვირეში ორ-სამ ჯერ მეტათ არ შედის კლასში, და მისი გაკვეთილი მეოთხედს ან, დიდი რომ ვსთქვათ, ნახევარ საათსა გრძელდება, რადგანც სათუთი ბუნება ზედამხედველისა გრძელ შრომას ვერ იტანს, თუმცადა კარგათ შეუძლია მას სამი-ოთხი დღე გაატარონს, თითქმის ფეხშიშველად, ნადირობაში მთაზედ და ზღიოს შინაურ ცხოველებს. წრეულს ეკზამენებიც ცხრა-ათს საათზედ იწყებოდა, რადგანც ზედამხედველი თერთმეტ საათამ-

დის არ გაიდვიძებდა. ამისთანა გულ-მოდგინების და შრომის წარმომადგენელმა ზედამხედველმა ამას წინეთ სთხოვა სამდვდელოებას, რომ ჩემი ჯამაგირი არ მეოფნის და მომიმატეთო. ვინ თხოულობს ჯამაგირის მომატებას? ნუ თუ ბრძა ჭკონია მას მინგრელიის სამდვდელოება, როგორც..... გარდა ამისა აგერ ხუთი წელიწადი გადის, რაც ზედამხედველი არ ამ-ლევს სამდვდელოებას ანგარიშებს, თუ რამდენი ფული შამოდის ერის კაცის შვილებისაგან, რამდენი რაზედ იხარჯება და რამდენი რჩება. ერის კაცის შვილებს ახდევინებენ ყოველ წლობით თორმეტ-თორმეტ მანეთს იმასაც ერთბაშად ბრაკელ შესვლაზედ. რიცხვი ერის კაცის შვილებისა ყოველ წლივ ასზედ მეტია. ნუ თუ სასწავლებელს, ამდენის განსაკუთრებითის ლონის მქონეს, არ უნდა ჭქონდეს სწავლაში სახმარი ნივთები მაინცა. არა ერთ გზით უთქვამს უფალს ზედამხედველს, რომე აწი არ მივიღებ სასწავლებელში მინგრელიის ერის კაცის შვილებსო. რა მიზეზისათვის არ უნდა მიიღოს ერის კაცის შვილები? ან რა უფლებით ამბობს ამას ზედამხედველი, როდესაც ამის უფლება ეკუთვნის სამდვდელოებასა, და არა მას.

ამ უწესოებისა გამო წასრულს იგნისში მიმავლის წლისას, მოსდა უკმაყოფილება ზედამხედველის და სამდვდელოების წარმომადგენის წევრთა შორის. განათლებულმა ზედამხედველმან დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მრთელს მინგრელიის სამდვდელოებას უმართებულო სიტყვებით და მათს წევრთა კი საქმითაც. ეს გარემოება სამდვდელოების წევრთაგან მოსსენდა მისს ყოველად უსამდვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს, და იმედია ამ მოკლეს დროშიდ მოსდეს გამოძიება ამ საქმისა უწმინდესის საქართველო-იმერეთის სინოდის კანონების განკარგულებით. ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს გამოძიება მოსდეს რიგიანად, და მაშინ ვნახავთ რა ბოლოს მოელის ჭეშმარიტების მოდალატე კაცი. ჩვენდა სანუგეშოთ, მინგრელიის სამდვდელოებას აქვს იმდენი ლონე, რომ ერთი რიგიანი ზედამხედველი იშოვოს, მის წინა ოქროთაც რომ გახოეს, მაინცა.

მეგრელიშვილი.

ᲒᲣᲠᲘᲐ. 7 აგვისტოს. ვეჭვობ რომ რომელსამე სხვას მოსაძღვრე მაზრას (გარდა. . . . . აბხაზეთისა) მოსვლოდეს იმდენი ზიანი, რამდენიც გურიას მოუვიდა ყოველ მხრივ.

ამ ზიანის გასაგებად საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ მისი ცხოვრების ვითარება.

გურიაში უკანასკნელი სტატისტიკურის ცნობით სახლობენ 59,432 სულნი. ამ რიცხვის მთელს ნახევარს შავ გენს . . . . . თავად-აზნაურობა; ძრიელ ბლომა ნაწილი სხვა და სხვა მაზრაში არის გასული მოსამსახურეთ; ქუთაისის ცხენოსანი სპის გუნდი, რომელშიდაც 700 მსედარია, თითქმის მთლათ გურულებიდგანაა შემდგარი. ასე რომ ესენი გამოუთვალოთ ზემო მოყვანილის რიცხვიდამ დაგვრჩება 20—22 ათასი კლეზობის მოსასლეობა, რომლის ნახევარზედ მეტს ნაწილს შავდგენს მდედრობითი სქესი, მაშასადამე მუშობის გვლზედ 10—12 ათასი მუშაკი თუ გამოგა, ისიც კარგია. აქ უნდა მოგახსენოთ რომ გურულები მაინც-და-მაინც გულს მოდგინე მუშაკთ გერ არიან ცნობილნი. ამისი და მუშაკზედ ტყუილა მეჭამლებიან უმრავლესობის შედეგი ის იყო და არის რომ ჭირნახული კარგ მოსავლიან წელიწადშიაც ძლივსდა ჭეოფნის ადგილობრივ მცხოვრებლებს. გასახეიდათ თითქმის არა გამოაქვთ რა, ასე გასინჯეთ ოზურგეთის სავაჭრო მოედანზედაც, სადაც ორიოდე კოთხას თუ იშოვი ჭადის და ბურის ფქვილსა და სხვა ამ გვარებს, თორემ ბათმანი რომ დაგჭირდეს ჩიტის რძის ფასათაც ვერ იშოვი. კოთხოთი გამოძიდგედ გურულს რომ ამის მიზეზი ჭკითხო მოგიგებს: „ერთი ბათმანი ფქვილი მქონდეს თუ არა, ბოდალი ვიქნებოდი ქალაქში გასაყიდათ წამოვიდო.“

ამ რიგ მდგომარეობაში იყო გურია აწმყო რუსოსმალოს ომამდინ.

დადგა ეს ომი თავის ჭექა-ქუხილით და მოსთოვა გურიას სხვერპლი კაცითა და ნივთიერებითა, როგორც მოსამზადვრე მაზრას და ერთის მეომართაგანის მომხრეს. ომის დაწყებისათანავე გურულებიდგან შესდგა ოთხი „დრუჟინა.“ თითოში 800 კაცია. გარდა ამისა ქუთაისის ცხენოსანი სპის გუნდსა ასი კაცი მოუმატეს გურულებიდგან. ამათში თავად-აზნაურნი 400—500 კაცზედ მეტი არ იქნება. ამ რიგად უიმისოთაც მცირე მუშაკებთა რიცხვი კიდევ შემცირდა და ყანები სანახევროდ სრულიად შეუმუშავებელნი დარჩნენ, სანახევროდ მოგლა მოაკლდათ და ერ-

ოობ დიდი ზიანი მიეცათ. აი როგორ: ყველას, ვინც ომში არის, სახლში დედ-მამის გარდა ნათესავნიც ჰყავს. მოკლულ იქნება თუ არა რომელიმე „დრუჟინელთაგანი," ესენი მიეშურებიან იმ წამსვე თავის მოკლულ ნათესავთან, დიდის ვაი-ვაგლახით და ხარჯით მოასვენებენ სახლში, სადაც მიცვალებული ხუთიოდე დღე ჰწევს, მერმე ნიშნავენ „სასალხოდ ტირილის" დღეს, რომელიც იმ დროსვე დამარხვის დღეც არის (თუმც ამ ხუთიოდე დღის განმავლობაშიდაც ჰსტირიან, მაგრამ ეს ნათესავთა შორის მოხდება ხოლმე)...ამ ტირილზედ საწყალი გლეხი თითქმის ვალდებულია რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიწვიოს, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჩვეულებრივ სადილი გაუმართოს, რომელიც 30—40 მანეთზედ ნაკლებად არას დროს არ დამჯდარა. რაც უნდა ღარიბი იყოს გლეხი, არ შეიძლება რომ ამ გვარ სადილის გაკეთებაზედ უარი ჰსთქვას: სულ რომ ბერანგი გაჰყიდოს, მისს ამოძგდებელ სადილს მაინც გააკეთებს. აქ უნდა გჰსთქვა, რომ გლეხს თუნდაც რომ ჰსურდეს ამ გვარ სადილის გაუკეთებლობა, უარს მაინც ვერ იტყვის, ისრე გამჯდარია მათ ძვალს და რბილში ეს მავნე ჩვეულება. ამ სადილის გარდა ჭირისუფალი ეკლესიაში საკურთხს ჰგზავნის, ღვდლის და დიაკონის კუჭის გასაძღომად. ეს საკურთხი მანეთზედ იაფად არას დროს არ დაჯდება, უფრო ძვირად კი ყოველთვის. საკურთხის გარდა იგი ხელ-ახლავ აკეთებინებს ადაბს, რომელიც „სასალხოდ ტირილის" დღეს გლეხის სადილზედ იაფად არ ჯდება....

ამ გვარად მშობლები იღუპებიან ერთობ დიდის ხარჯით და ნათესავნი გლოვის გამო უმუშავრობით.

„დრუჟინელთა" სიკვდილი ხშირია და რადგანც იგინი თითო ორორთა კი არა, არამედ ოცობით და ორმოცობით იხოცებიან მტრის ტყვიებისაგან, ამიტომაც ზემოთ აღწერილი ჩვეულებისთვინ ხარჯიც ხშირია. ხშირათ მოხდება ხოლმე რომ ერთს ომში სულ თანა-მესოფლენი ჰსწყდებიან, ამიტომაც ნახავთ რომ მთელი სოფელი ერთსა და იმავე დროს ჰგლოვს, ჰსტირის, საშინლად ჰხარჯავს და თან არაფერს აკეთებს კარგა ხანს....

ამ უბედურ მდგომარეობას ბუნების რისხვაც მოემატა: სანგრძლივმა გვალვამ ერთიანად გაახმო, ისეთაც შეუმუშავრობის გამო წამხდარი ყანები, გაზს ნაცარი მოეკიდა, ბირუტყვები თურქულის გამო იხოცებიან; თვით მცხოვრებლებთა შორის გაჩნდა სხვა და სხვა სნეულება; მათ შორის წითელა, ცეებ-ცხელება, ეს მუდმივი სტუმრები გურიისა, და მუცელა კი ძალ ხარკს ჰკრეფენ გურულებისაგან. მარტო ბასილეთის საზოგადოებას გარდასდგენეს ორმოცი სული....მაგრამ კანონიერი მმართველობის წარმომადგენელი, უფ. მაზრის უფროსი, მასთანავე ვითომ სიტყვლის შემნახველი სწავლის მიმდევარი ადგილობრივი აქიმი სრულიადაც ეურადღებას არ აძლევენ ზემო ჩამოთვლილ მოხარკეების მოქმედებას....ამბობენ რომ როდესაც ავათმყოფობა გადივლის, მიცვალებულებს დამარხვენ და ჰაერი სოფლებში გაიწმინდება, უფ. აქიმი მაშინ წაბრძანდება სოფლებში, და უხვ-სიტყვაობით აღწერს ავათ-მყოფობანი სიდგან და რა მიზეზით წარმოსდგენენ და მან რა ზომები მიიღო.

თუმც გურულები თითქმის მარტო შიმშილს მოელიან მყოობადში, მაგრამ მათ იმდენი გაბედულება კიდევ აქვთ, რომ შარშანდელის მოსავლიდგანაც ჰყიდიან....საშინელი ხალხია ჩვენი ხალხი....

ი—ა ი—ძე.

იმერეთი.—სიზმარში ეოფილა ის კორრესპონდენტი, რომელიც აცყობინებს „დროებას" იმერეთიდამ (იხილე № 104), რომ აქ კარგი ამინდებია და ყურძენს ნაცარი არ აჩნია. ეს კი არა წარსულ დღეებში (25 ივლისის წინედ) იმისთანა ღვთის რისხვა ზენა-ქარი ამოტყდა, რომ თითქმის ადარაფერი დაუტოვებია გაუხმობელი. ვაზის ავათმყოფობაზედ უწინაც გწერდით და ახლაც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ რიგი ვაზის ავათმყოფობა არასოდეს ამ 15 წლის განმავლობაში არ ეოფილა. ასე მითხრეს საბჭოტა კაცებმა, ქვემო და ზემო იმერეთიდამ, გურიიდამ და სამეგრელოდამ ჩამოსულებმა. ახრე გასინჯეთ, რომ ყირიმის ვაზსაც კი გამოაჩნდა სნეულობა.

ი—ა ი—ძე.

ომის ამბები.

6 მარიამობისთვეს ღენერალის ლორის-მელიქოვის ჯარის ერთი ნაწილი მუხთარ-ფაშის მანაკისაკენ, გასულა, იმ განზრახვით, რომ მუხთარ-ფაშა

არ მიეშველოს იზმაილ-ფაშას, რომლის წინააღმდეგ ღენერალი ტერგუკასოვი არის გასული. მართლა და მუხთარ ფაშა შეშინებულა და ბევრი ჯარი გამოუყვანია ლოვჩის-მელიქოვის ჯარის დასახვედრად. აქ მოსმხდარა ომი, რომელსაც არტაანიდამ მოსული პოლკოვნიკი კომაროვიც დასწრებია, ომის შემდეგ ჩვენი მოწინავე ჯარი სოფ. ქულვერანს დაბანაკებულა და უმთავრესი ძალა კი ისევ ქურუკდარას დაბრუნებულა. ჩვენის მხრით მოუკლავთ ვლადიკავკასის პოლკის პრაპორშჩიკი კომაროვი და სამოცი ჯარის კაცი; დაუჭრიათ სევასტოპოლის პოლკის შტაბს-კაპიტანი ვაშჩენკო და პორტუპეი-იუნკერი ხორუჟენსკი; ვლადიკავკასის პოლკის მაიორი გრიგოროვიჩი და შტაბს-კაპიტნები მიშლაევი და მაკროპოლიო; პეტერბურლის გრენადერის პოლკისა შტაბს-კაპიტანი უმანეცი; ნიჟეგოროდსკის პრაპორშჩიკი ევსტაფიევი, პორუჩიკი პრინცი მაჰმუდ-მირზა და 275 ჯარის კაცი. ოსმალოს მხრით ზარალი 800 კაცამდეა.

— 7 მარიამობისთვეს, ღამე ცხენოსანი ჯარა თ. ღენერალ-ლეიტენანტის ჭავჭავაძის წინამძღომლობით სოფ. ბულანნახისკენ გასულა და ოსმალოს ჯარს დაჰსცემია. ამ ომში მტერს შემდეგი ზარალი მისცემია: სამოცი კაცი მოუკლავთ და ერთი აფიცერი და ექვსი ჯარის კაცი ტყვეთ წამოუყვანიათ. გარდა ამისა ჩვენებს 20 ცხენი წაურთმევიათ და ბევრი იარაღი. ამ საქმეში ჩვენგანი დაჭრილან მაიორი ვიტტე და კაპიტანი ჩერნიშოვი. ჯარის კაცთა შორის არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

— რაც შეეხება ბოლგარიის ომებსა, იქ როგორც მოგეხსენებათ ოსმალოს ჯარი სცდილობს რუსები ბალკანიის მთის იქით განდევნონ და მეორეს მხრით რაზგრადიდამ და პლევნიდამ გზა გადულობოს რუსის მხედრობის შუა ნაწილს. პირველ საქმისათვის დანიშნულია სულეიმანის მხედრობა, რომელიც 40 ბატალიონიდამ არის შემდგარი. 9 მარიამობისთვეს სულეიმან ფაშა შიბკას დასცემია. სოფ. შიბკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბალკანიის მთის უმთავრესი გარდასავალი გაბროვზედ და შიბკაზედ გადის, ე. ი. თავი გაბროვში აქვს და ბოლო შიბკაზედ. ამიტომაც როდესაც ღენერალმა გურკომ ვიწრო ბილიკით გადიარა ბალკანიის მთა, მაშინვე შიბკა დაიჭირა. ეს გარდასავალი გზა ამ ჟამად რუსის ხელშია. შიბკას სულეიმან-ფაშა ეტანება და გაბროვისკენაც ლოვჩიდამ სელვაზედ ოსმალოს ჯარი მოძრაობს. დიდის აღტაცებით და თავგანწირულად ებრძვიან ოსმალები შიბკაში მყოფს რუსის ჯარს. ხუთი დღე (9, 10, 11, 12, 13-ს) ომი თითქმის არ შეწყვეტილა. 9 მკათათვეს ჩვენის მხრით ორას კაცამდე დაიღუპა, 10-ს ბევრად ნაკლები. ოთხის დღის განმავლობაში გაბროვში მიუყვანიათ 26 დაჭრილი რუსის აფიცერი და 100-მდე დაჭრილი ჯარის კაცი,

— ქურუკდარა. 13 მარიამობისთვეს ოსმალოს ჯარს კიზილ-ტაპის მთა დაუჭერია და წინ წამოწეულა. ოსმალოს ჯარის მარცხენა მხარეს რუსის ჯარი დასცემია და დიდ იაგნის მთაში შეურეკია. კიზილ-ტაპის მთა ოსმალოს შერჩენია. ჩვენის მხრით 20 ბატალიონი ყოფილა ომში მუხთარ-ფაშის მთელის მხედრობის წინააღმდეგ. ჩვენნი 9 აფიცერია მკვდარი და 62 ჯარის კაცი, 25 აფიცერი და 627 ჯარის კაცი დაჭრილი ამ ომში დაუჭრიათ თავში სუბუქად ღენერალ ლეიტენანტი თ. ზაქარია ჭავჭავაძე.

პოლკოვნიკის შელკოვნიკოვს გუნდს 7 მკათათვეს ღამე გაგრის გარდასავალი გადუვლია, რომელსაც აბხაზები და ოსმალოს ხომალდები იცავდნენ. ბევრი თოფ-იათაღი წაურთმევიათ მტრისათვის, აგრეთვე ამი ათასი თავი საქონელი. ჩვენის მხრით ორი მოკლულია და რვი დაჭრილი. 8-ს ჩვენებს კოლდახვარის გარდასავალი დაუჭერიათ. მეორე დღეს აბხაზებს მოუგზავნიათ მოციქულები, რომელთაც უთქვამთ თურმე იარაღს დავყრითო და რასაც გვიბძანებთ ავასრულებთო

9 მკათათვეს იმავე შელკოვნიკოვის ჯარის ნაწილი ბიწუნდაში მდგომს ოსმალოს ჯარს დასცემია, რომელიც გაფანტულა და ხომალდებში შეფარულა. ჯავშნიან ხომალდებს 250 ყუმბარა უსროლიათ. ჩვენი რვა არის დაჭრილი. ხუთი კაცი ჩვენებს ტყვეთ დარჩენიათ; გარდა ამისა ჩვენებს 1,500 სული საქონელი წაურთმევიათ და 30 ცხენი.

გარდა ამისა „ტფილისის მოამბეს“ ტელეგრამმა ამბობს, რომ შელკოვნიკოვს გუდაუტი დაუჭერია, რომელიც ოსმალებს სრულებით გადუწვამთ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთი. მაკ-მაგონი, როგორც მოგეხსენებათ, ჯარის კაცია, და ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. ეხლა კი, რაც საფრანგეთის დაცვა მოინდომა, ბევრი საქმე დაემართა. მისი მინისტრები ძალას ატანენ წადი საფრანგეთი დაიარეო, აქა-იქა სიტყვა წარმოთქვიო ხეგები როგორმე სასალი გაგიკეთდესო. მაკ-მაგონიც აიბარგა და ჯერ ნორმანდიას მიჭმართა თავისი წულობა და ქალაქს ქერეს მივიდა. რკინის გზის სადგურზედ ადგილობრივნი მოხელენი დაუხვდნენ. შემდეგ პრეფექტურაში წაბძანდა, სადაც სხვა და სხვა მოხელენი ბრიდო. ჯერ-ჯერობით ქალაქის მოთავის თანაშემწემ (თვითონ მოთავე ორის დღის წინ გადაყენებული იყო, რადგანაც რესპუბლიკის მოძმრეა) გაცნო მუნიციპალის საბჭოს წევრნი. მოთავის თანაშემწემ შემდეგი სიტყვა უძღვნა მარშალს: „ჟუფ. რესპუბლიკის პრეზიდენტო! ჩემი თანამდებობა პატივს მაძლევს დაგუსვდე უპირატესს გვამს რესპუბლიკისს. მე მოგეგებით თქვენ ქალაქის ევრეს მცხოვრებთა წარმომადგენელთ. თქვენ ისურვეთ ეს მოგზაურობა, როგორც ვიცით, იმ განზრახვით, რომ გაიცნოთ საფრანგეთის ხალხის მოთხოვნილება და ლოდინი; გულითადს მადლობას გიცხადებთ თქვენ ამისათვის. ევრე—პირველი ქალაქია, რომელსაც ეწვიეთ თქვენ ამ მოგზაურობაში; ნება მოგვეცით გულისდიდათ აღვიარეთ ჩვენი გრძნობა და გითხრათ, რომ მცხოვრენი, რომელთა წარმომადგენელნი ჩვენ გახლავართ, გულწრფელი ხალქვეითნი არიან რესპუბლიკის მმართველობისა, და ყოველი თქვენ მიერ ხმარებული ღონისძიება ამ მმართველობის დამკვიდრებისათვის გულითადს თანაგრძნობას მოიპოვებს ჩვენის ქალაქის მცხოვრებთაგან. თქვენ მოგზაურობაში ცხადათ დაინახავთ, რომ ყოველს კეთილ-გონიერს მცხოვრებს ჩვენის ნორმანდიისას ამ გვარივე გრძნობა ულვიის გულში და ამასთან ის მსურველ სურვილიც, რომ აწინდელი კრიზისი საჩქარად დაბოლოვდეს და მით ყოველი სული უშიშრათ მიეცეს თავის საქმეს.“ ამაზედ მარშალმა უპასუხა შემდეგი: „მართალი მოსსენებაა, რომ კონსტიტუციის არა ვითარი შიში არ მოელის იმისგან, ვისაც აქვს მინდობილი მისი დაცვა; შიში მხოლოდ იმათგან მოელის, ვისიც მოძღვრება და ქადაგება მავნებელია ყველა ინტერესებისათვის და ავგრეთვე იმ დედა-ბოძთათვის, რომელთა სიმკვიდრე საჭიროა ყოველის მართველობისათვის, რა გვარიც უნდა იყოს ეს მმართველობა.“

მაკ-მაგონს რომ ადრევე სტოდნოდა ევრის მოთავის თანაშემწის სიტყვა, ამ თანაშემწესაც გადაუყენებდა, ან არა და სრულებით აიცილებდა თავიდგან ამ მოგზაურობას. მაკ-მაგონი გულში უნდა დარწმუნებულიყო, რომ მომავალი საფრანგეთში რესპუბლიკისაა, სხვა რაც უნდა ჩასჩურჩულონ მისმა მინისტრებმა. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სენ-ლოს და შერბურლის მუნიციპალის საბჭომ გროშიც არ გადასდვა მაკ-მაგონის დასახვედრად.

სერბია. გაზეთს Сѣверный Вѣстникъ-ში დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენტია ბელგრადიდამ: ჩვენდა სამწუხაროდ უმეტესი ნაწილი სერბიის ინტელიგენციისა (განათლებულთა პირთა) გასარეულია რუსის ჯარის დამარცხების თობაზედ ბლევნაში. რამდენადაც მესმის, ეს სასარული მისგან წარმოსდგება, რომ, იმათის აზრი, რუსის ჯარის დამარცხებაზედ დამოკიდებულია სერბიის მომავალი, ე. ი. სერბიასთან შეერთება ბოსნიისა, ჰერცეგოვინისა და ძველის სერბიისა, თუ მთლად არა, მომეტებულის ნაწილისა მაინც. ეი რას ფიქრობენ სერბიელნი: ეს ომიანობა რომ რუსეთისათვის კარგად წავიდეს, მაშინ რუსეთი არავითარ უფრადღებას არ მიქცევსო სერბიას და ჩვენი ქვეყანა იმავე საზღვართა შორის დარჩებაო, როგორც ამ ყამად არის. მაგრამ რუსეთს თუ საქმე გაუჭირდა, მაშინ სერბიის შემწეობას ისურვებს და სერბიას სამაგიეროდ ის ერგება, რაცა ჭსურს. რუსების დამარცხება კიდევ იმიტომ უსარიანთ სერბიელებს, რომ ეხლა ქვეყანა დაინახავს რამდენად მძლავრია ოსმალეთი და რამდენად უოჩადნი იყვნენ სერბიელნი, რომ მას ეომებოდნენ და გაუმაგრდნენო. ეხლა—ამბობენ სერბიელნი—რუსები ვეღარ იტყვიანო, რომ სერბიელნი მარტო იმაში ვარგანანო, რომ დაჭრილობის ნიშნად თვითონ მოიკვნიტონ თითებიო და სამინდებში დაიმალონო. რუსები დაინახვენ, რომ ოსმალეთთან ბრძოლა ადვილი არ ყოფილა, და სერბიაც ისეთი უხეირო არ არის, თუ კი შეიძლო ისეთი ხანგრძლივი ბრძოლა ოსმალეთთანაო.

„სერბიის ათიცრები ბევრს ლაპარაკობენ მომავალს ომზედ, მასზედ თუ სად უნდა გაიგზავნოს უმთავრესი ჯარი სერბიისა“.

— ავსტრიას რაღას უზამთ? ვკითხე მე ერთს ამ ათიცერთაგანს.

— რა არის ავსტრია? — არაფერი! აბა დაიძრას: თვითონვე ლუკმა-ლუკმა იქცევა.“

ამ უკმად ამბავი მოვიდა, რომ სერბია დღე დღეზე ომს მოელოდა. მაგრამ ვიდრე ნამდვილად არ დამტკიცდება ეს ამბავი, ძნელად დასაჯერია.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐ. — ამ უკმად ავსტრი-ვენგრიაში, როგორც მოგესსენებათ, დიდი მღელვარებაა აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ. ცალკე ვენგრიელები და ცალკე სლავიანები წამ და უწუმ მიტინგებსა მართავენ — ბირველნი ოსმალეთისადმი თანაგრძნობით აღსავსენი, მეორენი ამ თანაგრძნობის წინააღმდეგნი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ავსტრი-ვენგრიის მთავრობა არც ერთს მისდევს, არც მეორეს, და თავისი საკუთარი განზრახვა და წადილი აქვს. კარგადაცა შვრებოდ — ამბობს Indépendance Belge-ის კორრესპონდენტი და აი რად. ავსტრი-ვენგრიის სახელმწიფო, თუ ესე შეიძლება ვსთქვათ, ორთავაა — ერთის მხრით ვენგრიაა, მეორეს მხრით ავსტრია. სლავიანის ტომის სალხი, ზოგი ერთს ემორჩილება (ბირ-და-ბირ) ზოგი მეორეს. ამის გამოისობით ვენგრიელნი ამბობენ, რომ მთავრობა მხოლოდ ჩვენსა და ნემენტების აზრს უნდა აჭუვესო და არა სლავიანებისასაო. ზემოხსენებული კორრესპონდენტი ამაზედ აი რას ამბობს: დიდი შეცდომა იქნება და დიდი განსაცდელიც მოჭუვება თუ მთავრობა ვენგრიის პოლიტიკას აჭუვა. მაგრამ ღვთით ეს ასე არ არის. მთავრობა კარგათ გრძნობს, რომ სახელმწიფოს დაცვისათვის ზომიერსა და მშვიდობის მოყვარულს პოლიტიკას უნდა დაადგეს ამ მძიმე საქმეში„.

„მთავრობა რომ მარტო მადიარების (ვენგრიელების) განსაკუთრებულ პოლიტიკას აჭუვესო, მაშინ თვითონ ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოს დიდი განსაცდელი მოელისო.“

მიტჭად-თაშა რომ 16 მარტიმობისთვეს (ე. ი. 4-ს) პარიეს მისულა მას გაზეთის Temps-ის თანამშრომელი სწერია, რომელიც ამ შემთხვევისაგამო შემდეგს იწერება: „მიტჭად-თაშა, როგორც მოგესსენებათ, ლონდონს აპირებს წასვლას. იქნება ეს მოგზაურობა ინგლისში უმთავრესი საგანია ამ პატრიოტულის მოვალეობისა, რომელიც იკისრა მიტჭად-თაშამ. მაგრამ ამ უკმად ეს გარდაუვნებული ვეზირთ-უხუცესი უფრო დიდსანს დარჩება პარიეში, ვიდრე ადრევ აპირებდა. შესაძლებელია, რომ ვიდრე ინგლისის დიპლომატებთან მოიოლაპარაკებს, შესანიშნავს ამბავს რასმეს მოუცდის სალამარ ველიდამ. თუ მართლა ასეა, მაშ მიტჭად-თაშა ორი კვირა მაინც დარჩება პარიეში, რადგანაც ძნელი საფიქრებელია, რომ რუსებმა ამ თვის განმავლობაში წინ წაიწიონ და იერიშით მიეიდნენ ოსმალებზედ... ოსმალებსაც არა ვითარი საბუთი არ აქვთ თავისის სიმაგრეებიდამ გამოვიდნენ და შეუტიონ რუსებს. გარდა ამისა ინგლისის პარლამენტი დაიშალა და მისი წევრნი ლონდონიდამ გასულნი არიან. მიტჭად-თაშას რასაკვირველია ჭსურს მოლაპარაკება არამც თუ მარტო მინისტრებთან, არამედ პარლამენტის წევრთათანაც. მიტჭად-თაშას იმედი აქვს, რომ ომი დიპლომატიის შუამდგომელობით შესწყდება შემოდგომის ბოლოს ან ზამთარში. მიტჭად-თაშა ამ აზრისაა: ოსმალეს ჯარს ძალიან კარგი მაგარი ადგილები უჭირავს, და სიმაგრის დაცვაც კარგად იცის. ეს ცხადად დაამტკიცა კიდეც. გამარჯვებამ ძალიან აამაღლა ოსმალოს ჯარის მხნეობა და განუმტკიცა სალომარი ძალა. სულეიმან-თაშა და ოსმან-თაშა სცადა შეუერთდებიან ერთი ერთმანეთს ტირნოვის ახლოს, და რა წამსაც შეუერთდებიან იმ წამსვე რუსები მომწყვდეულ იქნებიან ამ ორის ღენარლისა და მეჭმედ-ალის მხედრობის შუა, ხოლო ზურგთ უკან დუნაია დარჩებათ. თუ ოსმალოს ჯარს დიდსანს ეყოლება მომწყვდეული რუსები, და თუ რუსები თავის დასახსნელად დაეცემიან ოსმალებს, მაშინ რუსებს გამარჯვებისათვის იმდენი ჯარი დასჭირდებათ, რომ იმოდენას ვერც იშოვიან და ვერც შეინახვენ. რაც უნდა იყოს, თუ ოსმალოს ღენერლებმა კარგად მოიხმარეს დრო და გარემოება, ომი დიდსანს გასწევს. რუსებს დიდი იმედი ჭქონდათ ბოლგარების აჯანყებისა, მაგრამ ბოლგარიელნი ძალიან სუსტი მოზავენი გამოდგნენ. თუმცა ბოლგარიელნი მართალია აჯანყებისათვის გამზადებულნი არიან, მაგრამ ისე უძლურნი და მშიშარანი არიან, რომ მათი დახმარება სრულებით გამოუსადეგია. ესლა რუსებს გამარჯვებისათვის ხანგრძლივი და დიდი ჯაფა და ცდა მოუნდებათ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ომი ზამთრამდე არ გათავდება და ბრძოლას დროებით შეაყენებენ და გაზაფხულს სალმეობრად დაიწყობენ. განა უპირატესი სახელწიფონი შეიწყნარებენ ამ გვარს მდგომარეობასა? ეს ომიანობა

მთელს ევროპას ზიანს აძლევს, და რაც უფრო დიდსანს გასწევს იმდენად უფრო საზიანო იქნება. ომის სანგრძლივობა თვითონ რუსეთისთვის დიდი გაშბედობა იქნება გარდა ფინანსებისა, სხვა მიზეზების გამოც. მაშასადამე ყველა სახელმწიფოთა სარგებლობა მოითხოვს დიპლომატიის შუამდგომლობას, თუ ვინიცობაა ომმა დიდხანს განსწიოს. ასე ფიქრობს მიდმად-ფაშა, და იმედი აქვს, რომ როცა დრო მოვა დიპლომატიის შუამდგომლობას, მოახერხებს და ოსმალეთს ღირსეულს და მართებულს მშვიდობიანობას ჩამოუგდებს.

თუ მიდმად-ფაშა თავის ნებით დაიარება ევროპაში, მაშინ რასაკვირველია მის მოსაზრებას და ლაპარაკს არავითარი საპოლიტიკო მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ საფიქრებელია, რომ მიდმად-ფაშა საიდუმლო მოტიქული იყოს სრონთქრისა. იგი ისეთი სულელი კაცი არ არის, რომ თავისთავად გამოტყვრეს და ტყუილ უბრალოდ შეტიჩრობა გასწიოს.

ღირსშესანიშნავია აგრეთვე, რომ მიდმად-ფაშა მორიგების ნიადაგს სხვათა შორის ინგლისში დაეძებს, იმ ინგლისში, რომელსაც ტეტსლი და ნავთი გასდიოდა პირიგან რუსეთის წინააღმდეგ. ეს გარემოებაც გვიმტკიცებს, რომ ინგლისის პოლიტიკა შეიცვალა.

თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის სამღვდელოთ ყრილობა ქ თელავში

1875—1877 წ.

„უმართალია, ძმანო, ძმასგელს ძმასგა თგ-თ კი ავად მოუსდების,
მაგრამ ფარგა სიავისა ქმეეასა არ მოუსდების!
წამსდენელთა და მბაძეელთა კიდეგ სხვაკ რამ წაუსდების
და ძმასგაგე სგლობს საძმასაგთა, ძმასგას კაცი მოუფრთხების.“

ალეთ გურამიშვილი.

სამღვდელოთ ყრილობა თელავში დაიწყო 1867 წლიდგან, იმ დროდგან როდესაც სასულიერო სასწავლებლის ძველი კანონების მაგიერ დამტკიცდა ახალი კანონები. ამ კანონებმა დიდი უფლება მიანიჭეს სამღვდელოებას სასულიერო სასწავლებლის საქმეში. სამღვდელოებას მიეცა უფლება იყოლიოს თავის მსრით ორი წევრი სასწავლებლის სამმართველოში, რომელთაც აქვს სრული სმის უფლება ყოველ საქმის განხილვაში. ამ უფლებასთან სამღვდელოებას ისიც მიენიჭა, რომ ამან უნდა იზრუნოს სასწავლებლის წარმატებაზედ, მის ნივთიერ (მატერიალურად) განკარგებაზედ და უნდა სწირავდეს სასწავლებლის სასარგებლოდ რავდენსაც შესწირავს როგორც თავისის, ეგრეთვე ეკლესიის შემოსავლიდგან. ესრეთი უფლება და მოვალეობა, სამღვდელოებისა, მინიჭებული ახალის კანონების ძალით, 1867—1875-მდის დარჩნენ ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის უნაყოფოდ. თელავის სასულიერო სასწავლებლისთვის სამღვდელოთ შეწირულობა, აღნიშნულის დროის განმავლობაში თავისის სიმტირით სათქმელი არ არის, თუმცა სასწავლებლის საჭიროებანი ბრმებისათვისაც ადვილი დასანახავნი იყვნენ. ჩვენი სამღვდელოება კი აქამდის თვალებსა სუჭავდა და არ უნდოდა მისი ნაკლულევანების დანახვა და განსაკუთრებით მისი შევსება; ის ჩვეულობისა მებრ უმაღლესის მთავრობიდგან ელოდა შემწეობას და ზრუნვას. რომ ეს შემცდარი იყო თავის შესედულობაში და რომ მისი ფიქრები სასწავლებლის შესახებ იყვნენ უსაფუძვლონი, ამაში დაარწმუნა თვით საქმემ; რვა წლის განმავლობაში ამას ეური არ ვინ ათხოვა უწინდებულად, მოსწავლეთ და თვით სწავლამ ძლიერ ძირს დაიწია სასწავლებელში, ასე რომ საქართველოს კანტორამ ამ მიზეზის ძალით განიზრახა კიდეც ამ სასწავლებლის გაუქმება და რამდენჯერმე სთხოვა უწმ. სინოდს, რომ ეს სასწავლებელი გაუქმებულ იყო. თქვენი მტერი იყოს, ჩვენს სამღვდელოებას საქმე დაემართებოდა, რომ უწმ. სინოდი დათანხმებულიყო კანტორის წარდგენაზედ და სასწავლებელი გაეუქმებინა.— მაგრამ ჩვენი სამღვდელოთ შვილების სასიკეთოდ, სინოდმა უარი სთქვა სასწავლებლის გაუქმებაზედ, და ამასთანავე სამღვდელოებას ანცნობა, რომ უთუოდ ნივთიერი (მატერიალური) შემწეობა რამე მისცენ სასწავლებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებელი გაუქმდებოდა. ამ შემთხვევამ ტოტა არ იყო, ჩვენი სამღვდელოება გამოაფხიზლა. ამას გარდა საქმემაც აჩვენა, რომ ისინი თვითონ ვერ ამზადებდნენ პირველის კლასისათვის თავიანთ შვილებს და რჩებოდათ უსწავლელნი. ამისთანა გარემოებამ გამოადვიძეს ჩვენი სამღვდელოება, აუხილეს მათ თვალი და ჩაეფიქრეს თავიანთ შვილების ბედსა და უბედობაზედ. უნდა შევნიშნოთ ამასთანავე რომ ესრეთი გამოღვიძება არ იყო ძირეული, გულითადი; ეს იყო დროებითი აღელვება სამღვდელოებისა, რომელიც ჩქარა ჩაივლიდა და სამღვდელოება უწინდელს უაზრო მდგომარეობას მიეცემოდა,—თუ რომ ამათ არ გამოუჩნდებოდათ თავიანთ მოძმეთაგანვე გულითადი წინამძღომელნი. ამ გვართ წინამძღომლობაზედ შეიძლება მხოლოდ იმედი გვქონდა, რომ ესენი კარგად წაიყვანდნენ საქმეს, და უკეთუ ეს წინამძღომლობა ერგებოდათ გონებით ბრმებს და გულით შემუსვრილ პირებს, მაშინ საქმე უკან დაიწევდა და წარმატების მაგიერ ვნებას მიეტანოდა სასწავლებელი. თუ რამდენათ საფუძვლიანია ეს აზრი, ამაზედ უნდა იფიქრონ თვით საქმემ, რომლის გულწრფელ აღწერას შეკუდგებით.

ორის წლის გაზაფხულობაში 1875—1877 წლამდის (სეკდემბ. 1875—ივლის 1877) ხუთჯერ იყო სამღვდელოთ ყრილობა, რომელთაგან თვითეულს ცალკე ავუწერ „ივერიის“ მკითხველებს.

I.

„ამად სძრახვენ ვინცა ავს ჩადის კეთილ აღარ ჩაიდინოს,
სხვა გაფრთხილდეს, მიხედონ ცრემლი თვალთ არაგინ ჩაიდინოს,
გაცმა უნდა თავიდანვე საქმე კარგად მოიხდინოს,
თორემ ბოლოს გით იქნების, აგზედ ძრახვა დაიცდინოს.“

ლეონ გურამიშვილი.

სამღვდელოთ ყრილობა 19 სეკტემბერს 1875 წ.— უპირველესი დანიშნულება ამ ყრილობისა მდგომარეობდა იმაში, რომ სასწავლებლის ზედამხედველი უნდა ამოერჩიენთ და ამის შემდეგ განესაჯოთ სხვა და სხვა საგნები სასწავლებლის საჭიროების შესახებ. ამ ყრილობის თავს მჯდომარედ იყო ამოირჩეული სიღნაღის მღვდელი ლ. ტურიევი, ესლანდელი სამღრთო წერილის მასწავლებელი საოსტატო სემინარიისა ქ. გორში. ამის შესახებ უნდა შეგნიშნოთ, რომ ამას თავის მოქმედებით, როგორც თავს მჯდომარეს სამღვდელოთ ყრილობაში სხვა და სხვა დროს, შედარებით რომ ვსთქვათ, უფრო ზარალი მოჰქონდა, ვიდრემდე სარგებლობა. ამისათვის საზოგადო სიკეთეს და მისთვის ზრუნვას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია; ეს იქ და იმ საქმეში იყო თავგამოდებული, სადაც პირადს სარგებლობას ან რომელსამე ვიწრო წრეს ესებოდა საქმე. როდესაც ამას თავსმჯდომარედ ირჩევდნენ ხოლმე, მაშინ სიღნაღის მაზრის სამღვდელოებას ის საზოგადო საქმე ჰქონდა გადადებული, რომ ეგულა იმათგანი წინადუსადეგად და ჩაუფიქრებლად ეგორიდა—სასწავლებელი სიღნაღში ანუ წმ. ნინას-ბოდბის (ს. ქედელშია ეს მონასტერი) მონასტრის სახლებში უნდა გადვიტანოთ. ამ უმეცარ და ეოველის მხრით აუწონავ აზრს მომეტებული ვნება მოჰქონდა მისთვის უფრო, რომ იმისთანა პირები, როგორც ლ. ტურიევი გამოუცვლელი თავს მჯდომარე სამღვდელოთ ყრილობისა, თანაუგრძნობდნენ და ამ აზრის აღსრულებას ცდილობდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ 1867 წლიდგან თელავისა და სიღნაღის მაზრების სამღვდელოთ შუა თანხმობა არა ყოფილა არც მოსამზადებელის კლასის გახსნაზედ და არც სასწავლებლის სხვა საჭიროებაზედ. სიღნაღის მაზრის სამღვდელოებს კი ეგონა, რომ თელავიდგან სასწავლებლის გადმოტანისათვის სიღნაღს, საჭიროა მხოლოდ იმათი წადილი, რომელსაც ვითომ არავითარი დაბრკოლება არ ექმნება. სამწუხაროა ამ შემთხვევაში უფრო ის იყო, რომ ამ საქმის მომხრეთ, როგორც მაშინ ისმოდა, გამოჩნდა თავმჯდომარის ლ. ტურიევის ძმაც (თომა ტურიევი), რომელიც იმ დროს იყო მასწავლებლად თბილისის სემინარიაში და რომელსაც უფრო გავლენა ექმნებოდა ქიზიყის სამღვდელოებაზედ. ამ ორთავე ძმების წინამძღომელობას ის შედეგი ჰქონდა, რომ 1875 წლამდის შეუძლებელი და მოუსურვებელი გახდა მოსამზადებელის კლასის გახსნა თელავში სასულიერო სასწავლებელთანვე. თუმცა ეს გარეგანი ქიზიყისა და კახეთის სამღვდელოთ შუა, მაგრამ მთელი სამღვდელოება მაინც კიდევ ისე არ იყო დაბრმავებული და გონებით დასუფული, რომ ვერ ეგრძნო თუ რა ზარალი მოსდიოდათ მათ შვილებს ამისთანა მათის ქცევისაგან,— და ამის წინააღმდეგ არ მიეღოთ შესაფერი საშუალება. თუ რა ზარალი მოუვიდათ ნამდვილად სამღვდელოთ შვილებს ადნიშნულის მიზეზით, ეს ცხადად სჩანს თელავის სასულიერო სასწავლებლის ბასუხიდგან უ. „დ. ჩ.“ კორესპონდენტისაზედ, რომელიც დაიბეჭდა შარშანდელს „დროების“ №№ 116, 117 და 118-ში. მაშასადამე თვით გამოცდილება ეუბნებოდა სამღვდელოებას, რომ იმას გამოეცვალა თავისი უწინდებური მიმოქცევა სასწავლებელთან და ორგულობის მაგიერ გაეწია მისთვის ერთგულება როგორც სიტყვით, ეგრეთვე საქმითაც. აღნიშნულ ყრილობის დროს ამოირჩევეს ზედამხედველად იმ დროს ახლად კურს შესრულებული ნ. მთავრელოვი

ურიგო არ იქნება, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ახლად ამორჩეულს ზედამხედველის გინაობაზე. ეს არის შობით თელავისაგე მაზრიდგან და თელავისაგე სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი. თბილისის სემინარიაში კურს შესრულების შემდეგ, ამას უარი უთქვამს მღვდელობის თანამდებობაზედ და თავისზედ დამტკიცებული მამის ადგილი მღვდლობისა სხვისთვის დაუთმია და თვითონ მასწავლებლის ადგილი დაუჭერია თელავშივე. ოთხის წლის სამსახურის შემდეგ ამ თანამდებობაში, ეს წასულა ბეტერბურგში სწავლის შესავსებლად და შესულა სასულიერო აკადემიაში. აკადემიის შემდეგ ამას ერგო ისევ თელავში ადგილის მოგონა,—ზედამხედველობა სასწავლებლისა. უნდა ვსთქვათ, რომ ეს გარემოება დიდს მნიშვნელობას ამლევს აღნიშნულს ზედამხედველს თელავის სასულიერო სასწავლებლისათვის, რადგან ამას შეეძლო დაჩქარებით გაეცნო ადგილობრივი საზოგადოება სამღვდელოთა, მათი საჭიროება და ამის მისედულობით ემოქმედნა სამღვდელოთ სიკეთისათვის. სამღვდელოთაც ესეგე მიიღეს სასენი, როდესაც ამის ზედამხედველობა ისურვეს. მართლაც ამისთანა პირს შეეძლო ძრიელ ჩქარა დაემხნია სასწავლებლისათვის წარმატება, მხოლოდ იმ პირობით, თუ სამღვდელონი ყველა მისს საოეუძლიანს დაწყებას ხელს მოუმართავდნენ ნიეთიერებითის (მატერიალური) შეწირულობით. თვით ზედამხედველმა უთხრა ამაზედ თავის აზრი დეპუტატებს, რომელსაც ამათ

ერთხმად ამოირჩევენ ეს ასალ თანამდებობაზედ. დასდოვებით ესრედ შეიძლება გამოვსტოთ მაშინდელი მისი სიტყვები, მიქცეული დეპუტატთადმი: „ბევრი ლაპარაკი ადარ არის საჭირო იმაზედ, რომ თქვენის სასწავლებელი დაბლა დგას ყოველის მხრით ყველა საქართველოს სასწავლებლებზედ, მაშასადამე აღდგენისა და წარმატებისათვის დიდი შრომა არის საჭირო ყველა სასწავლებლის მოსამსახურეთაგან და განსაკუთრებით ზედამხედველისაგან. მაგრამ ამასთანავე უნდა ისიც გამოგიცხადოთ, რომ ყველაჩვენი, აქ მოსამსახურეთ, მეცადინეობა უსაოფოდ დარჩება, თუ რომ თქვენგანით ერთგული შემწეობა არ მიეცა სასწავლებელს; იცოდეთ, რომ მაშინ წავა სასწავლებლის საქმე კარგად, თუ რომ ყოველს საფუძველიანს თხოვნას და წინადადებას სასწავლებლის მმართველობისას, ერთგულად მოეიდებით და ნათხოვნ შემწეობას მისცემთ. თუ გითხრათ ვინმე, ან გეუბნებიან და ან გეტყვიან რადისმე, რომ ჩვენ შეეიძლებთ სასწავლებლის გაუკეთესობას ყოველის მხრივ უფულოდ, ისინი დაგარწმუნებთ, თქვენ გატყუებენ. მე წინადადგე ამისა, უთქვენოთ, ანუ უკეთ, ნიგთიერ შეუწევნელად თქვენგან, ვერაფერს იმედს ვერ მოგცემთ, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამისთანა იმედი თქვენი და ჩემი თავის მოტყუება იქნება. ესლანდელი თქვენი შეწირულობა დირსია ეურადღებისა და წაქეზებისა; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს იქნება დასაწყისი სამეფოდ ოთანაგრძნობისა სასწავლებლისადმი და ამით არ გათავდება თქვენი შემწეობა და ზრუნვა მას ზედ. ამასთანავე იმას გეტყვით, რომ იქნება ოდესმე ბლომა შეწირულობაც გადასდოთ სასწავლებლისათვის, მაგრამ ხეირიანი—ერთგული და მცოდნე კაცი კი არა გყავდეთ, რომ ეს შეწირულობა ნაყოფიერად გამოუყენოს თქვენს შვილებს. ამის მაგალითს ბევრს ვხედავთ ჩვენშიც და სხვაგანაც. თქვენ, ჩემის თვითრით, უნდა ეცადოთ ისარგებლოთ შემთხვევით და გარეშეებით, რომლებიც ყოველ თვის ერთ ნიერნი არ იქნებიან. უკეთუ თქვენ თანაგრძნობას გამოუცხადებთ სასწავლებელს, მე იმედს გაძლევთ, რომ ჩვენი სასწავლებელი ოთხს წლის შემდეგ, თუ არ დვემკობინება, არაფერით ჩამოუვარდება სხვა მასთან თანასწორ სასწავლებლებს, და თუ თქვენის მხრით შემწეობა არ ექმნება, შეიძლება სასწავლებელი წარმატების მაგიერ, უკან და უკან წავიდეს.“ ამ დროს ერთმა დეპუტატთაგანმა უთხრა მოდაპარაკეს: „გასსოვთ, რომ ერთ ერთ ერთობაზედ, რადესაც თქვენ მასწავლებლად იყავით, თქვენის რჩევით ჩვენ შევსწირეთ ბიბლიოტეკისათვის ანუ უმაწვილების წიგნებისათვის კრებულზედ ათ ათი შაური. ჩვენ ეს თული შემოგვაქვს და ჩვენს შვილებს კი არც ერთს წიგნს არ აძლევენ უფასოდ, თქვენ კი მაშინ გვითხარით, რომ ხუთის წლის შემდეგ თქვენს შვილებს ყველას სასწავლებელს თქვენთ ექმნებათ წიგნებიო.“ მე მაგაზედ ხელ ბასუხს ვერ მოგცემ, რადგან მე შეწირულობის შემდეგვე ჩქარა დავნებე თავი სასწავლებელს და არ ვიცი რა დანიშნულება მიეცა თქვენ ფულებს შემდგომში,—უპასუხა მოვარეულობამ. როგორც აღმოჩნდა ბოლოს, ეს ფული შემოტანათ ზოგიერთ ბალდოჩინებს მხოლოდ ერთ ს წლისა, დანაშთენ ფულების მოკრეფაზედ და სასწავლებლის მმართველობისათვის წარდგენაზედ თავს არავინ იცხელებდა. მხოლოდ ახალმა ზედამხედველმა მოაგონათ ბალდოჩინებს მათი ძველი შეწირულობა და ურიცხვი მიწერ-მოწერის შემდეგ ბალდოჩინებთან, ძლივს შეიკრიბა ეს ფული. როგორც ნამდვილის წყაროებიდგან ვიცით, ესლა მომეტებულ ნაწილს მოსწავლეთა მუქთათაც ეძლევთ სასწავლი წიგნები (учебники), რომლებიც არიან ნასეიდნი აღნიშნულის ზემორე შემოწირულობით. წინანდელ ზედამხედველებს კი ეს ფული ამ საგნისათვის არ მოუხარჯნიათ. ესრეთი ერთგული მოქცევა ზედამხედველის მხრივ, რასაკვირველია, არ ესიამოვნათ საძღვდელოთ, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ შეწირვას მხოლოდ ქალაქდზედ დაწერით და არა ფულით. ოუ გინდა რომ საძღვდელოება გადაგემტერონ, მოსთხოვეთ ერიოდე ერონაში შეწირვა საზოგადო კეთილის საქმისათვის და მაშინ იმედი გქონდეს, რომ შენზედ მეტი-ერეებს ითხოვით შესვლები მღვდლებში.

რადესაც ზედამხედველის არჩევნის საქმე გათავდა, მაშინ დაიწყეს საუბარი მოსამზადებელის კლასის გასნაზედაც. ესლა აღმოჩნდა თანხმობა ამ კითხვის შესახებ ქაზიეტსა და კახეთის საძღვდელოთ შუა. ამ ერთობაზედ შესწირეს საძღვდელოებამ სასწავლებლის სასარგებლოდ 1057 მ., რომლისაგან თვითეულს კრებულს შეხვდა 7 მანეთი. ეს ფული ერთობის გადაწყვეტილებით, უნდა განაწილებულიყო შემდგომის სახით:

1.)	მოსამზადებელის კლასის მასწავლებელს წელიწ.	360 მ.
2.)	ამასვე მიეცეს სახლის ქირა — — — —	40 მ.
3.)	მოსამზადებელი კლასის ოთახისათვის ქირა—	50 მ.
4.)	ამავე კლასის გასათბობლად და კანცელარიისათ.	30 მ.
5.)	ბირველად ამ კლასის მოსაწყობლად — —	60 მ.
6.)	ქართული ენის მასწავლებელს ჯამაგირი —	150 მ.
7.)	ზედამხედველის თანაშემწის სახლის ქირა—	50 მ.
8.)	სასწავლებლის სახლის შენახვის სარჯად —	60 მ.
		800 მ.

სასწავლებლის საემართველომ უნდა დანაშთენი 1057 მანეთიდგან თული შეიტანოს თეიდლისის საკაჭრო ბანკში გასამრავლებლად სარგებლით, სასელდობრ 257 მანეთი 1875 წ., ხოლო შემდეგ 317 მ. წელიწადში.

თუმცა ეს განჩინება არქიერმა დასმტკიცა 1 ოკტომბერსვე და ამ განჩინების ძალით მოსამზადებელი კლასი უნდა გახსნილიყო ოკტომბრიდგანვე 1875 წ., მაგრამ საქმე სრულებით სხვა ნაირად წავიდა. უცოდინარობის გამო ექსარხოსის კანცელარიამ, იმის მაგიერ, რომ აღნიშნული განჩინება, უწ. სინოდის გარდაწყვეტილობის ძალით, გამოეგზავნა სასწავლებლის სასამართლოში, ამან, წინააღმდეგ ამისა გაუგზავნა ეს განჩინება ეპარქიის თავმჯდომარეს, რომელმაც ერთის თვის განმავლობაში შეიკავა სელში და თავის დროს არ გადასცა წესისამებრ სადაც კერ იყო. ეს შეიქმნა იმის მიზეზად, რომ მოსამზადებელი კლასი თელავის სასულიერო სასწავლებლთან გაიხსნა 1 ნოემბერს 1875 წ. მაინც უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული სამღვდელოთ ეპარქიობა გათავდა სასარგებლოდ. ვგონებ ეს იყო პირველი სამღვდელოთ ეპარქიობა მღვდლის დაზარე ტეტრიევის თავმჯდომარეობით, რომელშიაც სამღვდელოებამ პირველად გამოაცხადა თავისი თანაგრძნობა თავისის შვილების გონებით წარმატებისათვის. უნდა კი შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში, რაგორც წინათაც, თავმჯდომარეს დიდათ თავი არ შეუწუხებია, რომ ეს საქმე ასე სასარგებლოდ გათავებულიყო. ქიზიყის მღვდლები კი ხშირად იქადიდნენ, რომ იმათში გამოჩნდა ამისთანა მღვდლების მოამხრე და მათის ინტერესების დამცველი პირი. მე კი ვისურვებდი, რომ ამისთანა პირებს ჩვენს სამღვდელოებაში და მათს ეპარქიობებში არ ეჭიროთ მეთაურის ადგილები, რადგან ისინი წარმატების მაგიერ თავიანთ მოამეთ ყველაფერში უკან სწევენ, და მხოლოდ თავიანთი პირადობა შეჭყავთ თავიანთებურს წარმატებაში.

(პემდეგი იქნება.)

. . . . . .

მგზავრის წერილები

სვანეთზედ

(პემდეგი *)

სამეურნეო ნაწილი სვანეთში, საშინელს ტუდს მდგომარეობაშია, თავისის ტივი ჭვის მიზეზით, რომელიც მეურნეობას ბევრს ავნებს. მიწის შემუშავების იარაღები სვანებს ნამდვილი იმისთანა აქვთ, რა ნაირსაც ჭხმარობენ იმერეთში, სამეგრელოში და ქართლში. მდელოების მცენარეებიდამ, სვანეთში კარგათ მოდის სიმინდი, ქერი, შვრია და პური ძალიან ტოტა; უმეტესად კი სიმინდსა და ქერსა ჭსთესვენ; შვრიას—უფრო სშირად ვიდრე პურსა და დიკასა. პურსა მაგ რიგად არა ჭსთესვენ უთუოთ იმიტომ, რომ არ იციან პურის მოვლის ანგარიში და იმიტომაც, რომ დაჩვეულნი არიან—ზაფხულსა, რომლითაც მთელი იმერეთი თავს იჩენს. ვისაც პური აქვს—ის მდიდარ კაცათ მიიჩნიათ; და საცა არ უთესიათ პური, ის ხალხი ღარიბათ ირიცხება. „თავისუფალ-სვანეთის“ უმეტესს ადგილებში მდ. „კალარას“ და „მულხრეს“ სეობებს გარდა, „უშკულის“ საზოგადოებაში, და მრთელს „სათავადო სვანეთში“, პური კარგათ მოდის, მაგრამ ძალიან დაბალის ღირსებისა. ზოგიერთ ადგილებში „უშკულის“ საზოგადოებისაში მოდის მხოლოდ—ქერი. ასე რომ, ბევრი სვანი, თავის საჭმელ შოვნისათვის საშუალოთ გადის ლეჩხუმში და რაჭაშიაც, თუმცა კი სვანებს არა აქვთ ხასიათში, რაიმე კვეშირის დაჭერა სხვა სამეზობლო ხალხებთან. უკეთესი სახლობნობა, მეურნეობა, სვანეთში არის სოფელს „ბეჩოს“ და სოფ. „ცხმარს,“ სათავადო სვანეთში. ყოველი ოჯახის პატრონი სთესავს ორგოდიდამ ათ კოდამდინ ჭიორნახულსა. თუმცა სვანეთში ტოტა გამოსადეგი—სახნავი მიწები, მაგრამ ისეთი მძლავრი ყამირი ჭმობია სვანეთის ნიადაგსა, რომ ერთ კოდ თესლსა, თვრამეტი კოდი ჭიორნახული მოაქვს, და ეს საშუალი შემოსავალია; ასე რომ მთელს სვანეთში, იმას გარდა რაც თვითან ხალხს თავის ოჯახებისათვის სჭირდებათ ჭიორნახული—მეტი მოსდისთ ხუთი ათას კოდამდინ. აქედამ ზოგი ინახება მომავალის წლისათვის, თესლათ, და ზოგი, ძალიან ტოტა, იცვლება სხვა და სხვა საკაჭრო ნივთებზედ და უმეტესის ნაწილიდამ არაფერს ჭხდიან, რომელსაც ლვინის მაგივრათა ჭხმარობენ, რადგანაც სვანეთში ვაზი სრულებით არ ჭხეირობს. ამ ჭიორნახულის გარეთ გატანა გასასყიდათ, სვანებისათვის, შეუძლებელია უგზოობისა გამო.

საბალახეები და სათიბეები სვანეთში—მრავალია, რომელშიაც თავის საქონელს საძოვრათ ჭრეკენ ხოლმე; ზამთრისათვის კი თივასა სთიბენ და ინახენ ახალს მოსავლამდინ. მიწებს არას დროს არა ჭრწყვენ; და თუ ვისმე ორჯელ დასჭირდება სათივის გათიბვა—სათივეებს ბლომათა ჭრწყვენ და ამითი ერთ ზაფხულს ორი მოსავალი მოჭყავთ. სვანეთის მიწებს ისეთი მძლავრი ნაყოფიერება აქვს, რომ მოკლე ზაფხულში, ესე იგი ორ თვე ნახევარში,—ორი მოსავალი მოჭყავთ სუფეკ-

(*) იგვრა № № 19, 21, 22, 23 ᲓᲐ 24.

ღვთერისა, რასაც კი დასთესავენ, თუ მოიშორნეთ გაისარჯეს. ვენახები მხოლოდ „სადადიანო სვანეთში“ არის და ისიც ძალიან ცოტა და გლახა კაზი იცის, მხოლოდ ერთს „ლაშხეთის“ საზოგადოებაში; ამ კაზის ღვინოს არა სმენ სვანები, მისის უგემურობისა გამო, მხოლოდ ან დაამარებენ, ან არა და არაყში ურევენ.

მთელი ქვეყანა დიდი ტყეებით არის დაფარული, რომელშიაც ვერხვი, ქედრის-ხე, არაყის-ხე, წაბლი, ძელქვა, ფიჭვი, ნაძვი, კოწასური, რომელიც ყოველგან მრავალია და აწითლებს ბუნებას, შინდი, დაფნის-ხე, მუნაკი და სხვა ამ გვარი მცენარეა. სახმარი ხე სვანეთში უკეთესია: მუხა, იფნა, ქედრის-ხე, წაბლი, წიფელა, ნაძვი, ფიჭვი და ძელქვა; მაგრამ სვანები ამ ხის მასალებს ძალიან ცოტასა ჭამარობენ თავის შენობებისათვის; მათი შენობა უმეტესად, ქვითკირისა. ეს ტყის მასალის სიმდიდრე არც კი იცხებია, რადგანაც არც გზები აქვს სვანეთის ტყეებს და არც ტყის მასალის გაჭრები არიან იქა. ბოსტნეულობის მცენარეებში სვანები ძალიან ჭამარობენ: ლობიოს, ხახვსა, და ნიორსა; კარტოფილსაც სთესავენ, მაგრამ ძალიან ცოტას; და აგრეთვე ცოტა კიტრსა, კვასსა და სხვა ამ გვარს მცენარეებს. ძალიან ჭეკარებიათ—ქინძი და ნიორი. ზეთის სასდელ მცენარეებში და ბუსუსიანი მცენარეებში სვანები სთესავენ—ბამბას, მხოლოდ საკუთარის ოჯახისათვის; მრავალს—სელსა და კანაფსა; თუთუნს ისე ცოტასა სთესავენ, რომ სვანეთის მცენარეებში არ ჩაირიცხება. ხესილი, სვანეთში, იპოვება ბევრი: მსხალი, ბანტა, ვაშლი სხვა და სხვა ქლიავი და ტყემალი. ბალახებში, სვანები სამეურნალო ბალახებს აგროვებენ და თავის დროზედა ჭამარობენ.

საქონელი, სვანებს,—საჭიროებისა და გვარათ ჭყავთ; თითქმის ყოველ სვანს, ხუთი ან ექვსი წყვილი რქიანი ხირუტყვი ჭყავს, ძროხებიანა; და ოცი და ორმოცი წყვილი—ცხვარი, უსათუოთ უნდა ჭყავდეს. ამათი სარი და ძროხა უფრო დიდი და მსხვილია, ვიდრე იმერეთის საქონელი, ანუ მთელის ქუთაისის ღუბერნიისა. კამბეჩები აქა სრულებით არ არის, სიცივის გამოისობით, რომელსაც კამბეჩი ვერ აიტანს ხოლმე; ცხენები და ჯორები აქა მოჭყავთ სამეგრელოდამ, ქუთაისიდამ და ლეჩხუმიდამაც; მხოლოთ რომელიმე თავადიშვილებსა ჭყავთ ცხენები და ჯორები კი აზნაურებსაც. სვანები ამბობენ, რომ ცხენებს და ჯორებს იმიტომა არ კაშენებთო, რომ სასიარულო გზა არა გვაქვსო, სულ მთა და მთა არისო და კაკე ადგილი კი—სულ დათესილიაო. ცხვარი ბევრი ჭყავთ, და ხორცს თითქმის მთელ წელიწადსა სჭამენ და ტყავისას ფაფასებსა და ქურქებს იკერვენ ხოლმე; მათის მატყლისას კი სხვა და სხვა ნაქსოვებსა ჭქსოვენ. მაგათი ცხვარი მსხვილ მატყლიანია, და დუმის მაგივრათ კუდები აქვსთ, როგორც მთელ იმერეთის ცხვარსა. აგრეთვე ბევრს ღორს ამრავლებენ, რომელთაც არც არა მოელა უნდა და არც არაფერი საკვების შენახვა. ძაღლები უმრავლესია; ცხვრის-ფარის ძაღლი კარგის ჯინშისა არის. წვრილ-ფესა კი იმდენია, რომ თვითან ბატრონები არას დროს არა სთვლიან, რამდენი ჭყავთ. გარნა იქნება სადმე, მართლა, კუთხე ქვეყნისა, სადაც კაცი ჭსტხოვრებდეს რომ იქ წვრილ-ფესაც არ გაჩნდეს?—ჩვენ სულ ამათის ხორცით ვირჩენდით თავსა—სვანეთში. გარეულ მფრინველებში, მე შევამჩნიე: ღალა, მწყერი, კაცის ულალატი—ჭიკჭავი, ყვავი და შროშანი; მტაცებელ მფრინველთაგანი ჩვენ შეგვხვდა: არწივი, ორბი, და მიმინო; მერცხალი და ბულბული სრულებით არ გვინახავს სვანეთში. ნადირიც ბევრი ყოფილა: მგელი, მელა, ტურა და დათვი; ესენი ძალიან გამრავლებული არის; სხვათა შორის ჯიხვი, ირემი, ტახი, კურდღელი, და თაგვ-გვარი მღრღნისავიც ბევრია სვანეთში. სუფველა ამ ტყის მცხოვრებლებს მგზავრი ძალიან ხშირად შეხვდება ხოლმე გზაში და ხშირად დიდს ხათაბალას აუტეხენ ხოლმე. თევზებში, სვანეთში, მხოლოდ არის ერთი კალმახი, ყოველ ნაირს წყალში. ქვე-მძრომ ცხოველთაგანი, მე ვნახე მხოლოდ ბაყაყი და ანკარა. ჭიებში მხოლოდ სხვა და სხვა ჯუჯუმკალა და მალიან ცოტა ჭიანჭველა. ეს არის სვანეთის ტყეების გარეული მცხოვრებელნი, ფაუნა რომ ჭქვიან.

სათხრელს ნივთთაგანი იპოვება ბევრგან ჭრკინისა და სპილენძის მადნები; ვერცხლის მადნებსაც ჭპოულობენ; აქა იქ ტყვიაც არის. ამბობენ, რომ „უშგულის“ საზოგადოებაში ტყვიას ბევრსა ჭპოულობენ; სოფელს „ლატალის“ საზოგადოებაში კი, ამბობენ, თურმე მთელი მთებიაო ვერცხლისა და ტყვიისაო. აქა იქ არის ფოთოირის ქვაცა; ჯალის ჯავარიანი ქვაც, ესე იგი გრანიტი და სხვას ბევრს ამ გვარ ძვირფასს ქვებსაცა ჭპოულობენ. თოვლი რომ დადნება, ბევრი გოგირდი ამოჩნდება ხოლმე, თეთრი თიხით არეული და სხვა მადნეულის საგნითა. კირი მრავალია; მაგრამ ვერ არის კარგი, რადგანაც ბევ-

რი თიხა ურევია. ზოგან ნავთის ჭაბიჯ ყოფილა; და სხვა ბევრი მკურნალი წყლებიც. სოფელს ბეჩოს არის მკურნალი ჭრკინის წყალი და ნახშირ-მჟავედიანიცა; და სოფელს სესტიას მახლობლად არის გოგირდოვან-ნატრტუტიანი წყარო. სვანეთის გზებზედ კი ჩვენ ბევრი მწარ-მლაშე წყაროები ვნახეთ, როგორც ზღვის წყალი მე ძალიან გამიკვირდა, რადესაც სოფელს ბეჩოს, საქონელსა და ცხვარსა ნახშირ მჟავედის წყაროს წყალს სმეკვდნენ; მითხრეს, თურმე რომ, საქონელი ამ წყალს ძალიან ეტანებაო, და ჭალბათ მაგათთვის მარგებელი არისო, რომ სმენო; თორემ თუ მავნებელი იქნებოდა საქონლისათვისაო, საქონელი არ მიეკარებოდაო.—ესეც მართალი ყოფილა! ბევრგან ისეთი ნახშირ-მჟავური ჭარი ამოდის მიწიდან, რომ ჩემ თვალს წინ, ერთმა ჩემმა ჩაფარმა სვანმა, მიწაში ნახვევარ არშინზედ ჩაბუხის ტარი ჩაარეწო და ეს ჭაბი ანუ ჭარი იმ წამსვე ამოხტა მიწიდამა; მერე ცოტა მოშორებით ისევ განვიმეორეთ ჩვენ ესა და ისევ ის სანახავი ვნახეთ.

მრავალი ასბიტის ქვა არის სვანეთში, რომელსაც სვანები შენობებში ჭსმარობენ; და ამის მიზეზით თუ შენობა კიბით არ არის გალესილი, შავი შესედულობა აქვს გარედამა და შიგნიდამაც; აგრეთვე მრავალი თაგვმარილას ქვა, სქელ-სქელ ნაჭრებში, თეთრ მარმარილოს მზგავსი ყოფილა სვანეთში; და სხვა ბევრი ამ გვარი სიმდიდრეა ამ ქვეყანაში, რომლისათვისაც ჯერ სული არავის არ უხლია! სალხმა რასაკვირველია არც იცის და მოსერხებაც არა აქვსთ, რომ მოისმარონ ეს სიმდიდრე, იმ მიზეზით უფრო, რომ მათი ქვეყანა სულ მრთელათ გარეშემო მთებში ჩაკეტილია, და უფრო იმიტომაც, რომ სვანების სხვა და სხვა საზოგადოებას შუა არის მუდამ რაიმე უსიამოვნობა და განსეთქილება.

ამ ხალხს უმთავრესი საქმე, შრომა აქვს ნადირობაში და ამასთანავე მტირედი შრომა და ჯავა—მოჯავობაში და მეურნეობაში იმოდენად, რომ მათს ცოლშვილს მომავალს მოსავალიმდინ თავისი-თავის შენახვა შეეძლოთ. ვაჭრობა სრულებით არ არის; ვაჭრობის მნიშვნელობაც ჯერ სვანებს გარგათ ვერ გაუგიათ; და ესენი ძალიან ემდურიან იმ კაცებს, რომელნიც სვანეთში დადიან სავაჭროთ და ჭრქიან საქონელს, ცხენებს და ცხვრებსა ჭყიდიან. სვანეთში ამისთანა ვაჭარს ხალხს სრულებით არა-ვითარი პატივისცემა არა აქვთ. ყოველი საგანი, ნივთი, ყოველი სავაჭრო რაიმე, გაჭირების დროს გაიყიდება სვანისაგან, მხოლოდ ისევ თავის სოფლის კაცებში და ფულზედ კი არა.—გაცვლიან სოლმე ამ გვარს სასყიდელს რაიმე საოჯახო საგანზედ ან რაიმე ნაყოფზედ; ერთი სიტყვით, ვაჭრობაში ფული არა ტრიალობს, მხოლოდ-გაცვლა-გამოცვლა აქვთ საგაჭრო საქონელისა. როცა როტა სალდათი დაბინავდა სვანეთში, მხოლოდ მაშინ გაჩნდა, მთელს სვანეთის ქვეყანაში, ერთი ვაჭარი, ამ როტის მიკიტანი, და ისიც სვანი კი არა—არამედ ქუთაისელი სომეხი, რომელიც ჭყიდის თავის საგაჭრო საქონელს: არ ყარა, ჩაის, შაქრს, თუთუნს, პაპიროსს, სპიჩკას და სხვა ამ გვარს საწვრიმალოს; საკუთრად სალდათებში ჭყიდის და მათ უფროსებში. სვანებს კი, ამ მიკიტანთან ალებ-მიცემა, უფულობის გამო, სრულებით არ შეუძლიანთ. არც ერთი სვანი ფულზედ არაფერს არ ჭყიდულობს ამ მიკიტნის დუქანში, სვანმა არ იცის ფული რა არის; იმიტომ რომ ფული სვანეთში ძალიან ძვირია. თუ ერთი მუჭა თუთუნის ყიდვა უნდა სვანსა, რომელიც ღირს, ბევრი-ბევრი, ერთი აბაზი, სვანი მაგივრად, მიკიტანს-არაყს მოუტანს, ან ცხვარსა, ან არა და ხბოს, რომელიც ერთი-ასად უფრო მეტათ ღირს, ვიდრე ერთი მუჭა თუთუნი. მიკიტანიც თავის მხრით—ამისთანა-ალებ-მიცემობის მნიშვნელობას ვერ მიხვდა კარგათა, და ამ მიზეზით სვანებსა და მაგს ყოველთვის დიდი უმეაყოფილება აქვსთ; და მაგის ჯიბრზედ, სვანები, ხშირად ჭეარვენ ხოლმე დუქნიდამ იმ საგაჭროს, რაცა სჭირდებათ. მრთელს სვანეთში, სადაც ორმოცი-ათასამდინ ხალხი ითვლება, არც ერთი ვაჭარი არ არის; არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, სრულებით, ერთი სიტყვით არასეული ვაჭრობა, როგორც რიგია, და როგორც სხვა კავკასიის მაზრებმა იცია—არ არის ამ ქვეყანაში.

საგვირველი შენობები აქვთ სვანებს. „სათავადო“ და „საფალალიანო“ სვანეთის სოფლები, სრულებით „თავისუფალ“ სვანეთის სოფლებს არა ჭგვანან. „სათავადო“ და „საფალალიანო“ სვანეთში, ხახლები—პატარები არიან და ძალიან დაბალი; ძალიან იშვიათია ქვის ხახლები; სულ ხისა. „თავის-უფალს“ სვანეთში კი—სუფეელა ხახლები და შენობები—ქვითკირისა, ორი, სამი და ოთხი წყებისა, ეტაჟიანი, არიან; სულ კირით არიან გარედამ გათეთრებული და ასბიტის ქვით დახურული; პატარა ფანჯრები, სათოფეებივით აქვს დატანებული ყოველს შენობას. ამისთანა ხახლებთან, გარედამ ხის კიბები აქვს მიდგმული და თუ ვინმე მტერი დაეცა ამისთანა ხახლს, ამ კიბეებს

გადიგდებენ და ყოველი სახლი მაშინ კოშკებათ გადაქცევა ხოლმე. სახლებში—ოთახები მაღალი და განიერია, უმთავრესად სულ ასპიტის ქვით დაგებული; მაგრამ მათი ჭერი და კედლები ისე გაშავებულია ჭვარტლისაგან რომ, გეგონება, სულ ნახშირი უნდა იყოსო და ისე შავია, რომ ბრწყინავს ოთახი. ცეცხლი დღე და ღამე უნთიათ, ზაფხულსაც და ზამთარში ხომ მეტადრე, და ყოველთვის ოთახის შუაგულზე; კოცონისთვის ერდოსავით დიდ ჭერი აქვთ. ამ მიზეზით ყოველი ოთახი წარმოადგენს საშინელს უწმინდურებას; ნაცარი იმდენი გროვდება ყოველ ოთახში, რომ ბავშვები და ბიჭ-ბუჭები, სულ მთლათ ტიტველი, სიცივისაგან თბილს ნაცარში იყრებიან. აქვე ტახტზედ—სახლი-ბატონის ოჯახის ბინაა; ტახტებს ქვეშ ცხვრებია, ხბორები და ძაღლებიც; იმავე ოთახში ძროხებსაც ბინა აქვს, ხარებსაც, წვრილ-ფეხა შინაურს მფრინველებსაც. ერთი სიტყვით, ყოველნაირი ეს ცხოველი, სულ ერთათ, წარმოადგენს ერთს მრთელს, გაუყოფელს თითქო, ოჯახს, და სუფევდა ერთათ, ერთსა და იმავე ცეცხლთანა თბება. ახლა წარმოიდგინეთ, ბატივცემულო მკითხველო, რა ნაირი მყრალი სუნი დგება ოთახში —ეს უწმინდურება, ნაგავი, ტალახი, სიმურტლე,—და ამითი სუნთქამს სვანი თავის ცოდ-შვილით, და ეს უწმინდურება ძაღლებს იშვიათათ იწმინდება. იმავე ოთახში, რომელიმე კუთხეში ამოთხრილია ორმო, სადაც ყოველნაირს ნაგავს აგროვებენ, ნესვს და განავალსაც და ეს გროვა ყარს, ახლის საშინელი მწარე სუნი; მხოლოდ ზაფხულის თვეებში გაიქვთ გარეთ და მინდვრებში სტოვებენ—ბატივთ. ოჯახს ოჯახში და ოჯახს სვანურს ოთახში—ამისთანა უწმინდურებაა; მაგრამ—სახლი კი ძაღლებს ჯანმრთელი ყოფილა,—ყოველს სახლს აქვს რვა ან ცხრა საყენის სიმაღლის კოშკები; მათი კედლები კედლის ნალმის ქვისანი არიან; ხშირად მშრალი შენობაა, ეს იგი კირს ან ტალახს არ ურევენ, ასე რომ ქვა-ქვაზედ ზდევს და თურმე, სვანები ამბობენ, რომ ამ გვარი მშრალი შენობა კირით არეულს ქვით-კირსა სჯობიანო თავის სიმაგრისაგამო. როდესაც ამისთანა შენობა ადარა სჭირდებათ, სვანები ადგილათ დაიქცევენ ხოლმე და ამ ქვას სხვა რამე შენობას ახმარენ. რადგანაც უმთავრესი ნაწილი ამ გვარ შენობებისა სულ კირით არის გათეთრებული—ძაღლებს ლამაზი და სასიამოვნო შეხედულობა აქვთ ამწვანებულს ბუნებაში. მხოლოდ მოშორებულს „კოშკს“ და „უშკულის“ საზოგადოებაში შენობები შავი ასპიტის ქვისა აქვთ და მათი შეხედულობა კაცის გულს აწუხებს, თითქო სულ ჭვარტლით არიან გაშავებულნი.

სვანეთში ძაღლებს ბევრი საყდრებია; არა თუ დიდს სოფლებში, არამედ ძაღლებს პატარა დასახლებულს ადგილებშიაც კი არის საყდარი. ზოგიერთ სოფლებში კი—სუთ-სუთი, ექვს-ექვსი საყდარია; მეტადრე „თავის-უფალ“ სვანეთში—ძაღლებს ბევრია. ამ სახეობებში, უმთავრესი ეკეკლესია—უფრო დიდი შენობაა და სხვანაირი ნაშენობისა; გუმბათები ეკეკლესიებს და საყდრებს; სამ-სამი განყოფილება აქვს ეკეკლესიებს და საყდრებს, რომელშიაც შუა განყოფილება, სხვებზედ უფრო მაღალია და განიერი. ხშირად, გარეთი კედლები სხვა და სხვა თერათ შეღებილია; ხან გამოსატულია სხვა და სხვა წმინდანი, ანუ ვინმე სანი—გმირი და სხვა ამ გვარი სურათებია დახატული. ყოველს საყდარს და ეკეკლესიას და მონასტერსაც გარშემო მაღალი ქვით-კირის კედელი არტყია. საუბედუროთ ყოველი საყდარი და ეკეკლესია—სავსეა უწმინდურობითა! ძველს ამგვარ შენობებში, საკურთხეველში სჩანს, რომ უწინ აქა ცეცხლებიც ჰქონდათ გაჩაღებული და მის ნაცარში და ნახშირში მრავალი—ძვლები და ყოველნაირი ნაგავი ყრია; საყდრის ჭერზედ, გრძელ ლატნებზედ ჰკიდია მრავალი ძვლები და უბები რაღაც ბირუტყვებისა. თურმე, ეკეკლესიაში ლოცვისა და წირვის შემდეგ, ცეცხლებს ანთებდნენ და აქვე საქონელს ხოცვიდნენ, მერმედ სალი საჭმელათ იტაცებდა ხორცსა,—და ძვლებსა და ყოველისფერს გადასაგდებსა—აქვე სტოვებდა. საზარელი შეხედულობა აქვს ყოველს საყდარს ამ უწმინდურობისა გამო. ეკეკლესიის კუთხეებში გდია სხვა და სხვა-ნაირი დამტვრეული ია რიდი, კეტები, შვილდისრები შუბები და სხვა ამ გვარი სახმარისი ია რიდი ნადირობაში და ჩხუბში.

უწინდელის მღვდლების ჩამომავლობის წარმოამდგენელნი, რომელთაც ეპახიან „დეკანოზს,“ ბევრნი არიან სვანეთში და თავის ტანისამოსით და ყოფა-ქცევით და ცხოვრებით არ განირჩევიან თავის მეზობლებში. ეს დეკანოზები, საყდრებში ხან-და-ხან სწირავენ და ლოცულობენ ხოლმე, და ლოცვებს ისე ურევენ რაღაცა ლექსებში და სიტყვებში, რომ მათი გამოთქმა შინაარსი ლოცვისა არა თუ ხალხს, თვითონ დეკანოზებსაც არ ესმით. ამათ სრულებით არც წერა იციან და არც კითხვა; არავის სმა საშინლათ უყვართ და ისე ეჭცევიან ხალხსა, რომ სრულებით ყოველი პატივის-ცემა დაჰკარგვია ხალხში. სვანები მიხვდნენ, რომ ეს დეკანოზები, თავის წოდებულ ღირსებისა სრულებით ღირსნი არ არიან, და ამიტომ, დაცინვით, ეძახიან მაგათა—„ბაბი,“ ესე იგი—მღვდელი. თვითონ ეს „ბაბები“ გრძნობენ, რომ მათი საქმე არ ყოფილა, ჩამომავლობითის მოვალეობის აღსრულება. ეხლა, სვანეთში არიან ნამდვილი მართლმადიდებელი მღვდლები, ქართველები და იმერლები, რომელნიც მოვალეობისაგან, ჯამაგირზე, არიან გამწესებულნი,

და რომელნიც წესიერად სწირვენ და ჭლოტულობენ ეკკლესიებში, თავ-თავის მრევლში, ანუ შტატის ეკკლესიაში. მაგრამ, ძველი „პაპები," მაინც თავისას არ იშლიან, და სან-და-სან ჩვენის მღვდლების მაგივრად ასრულებენ თანამდებობას, თუმცა კი მტკიცეთ და სასტიკათ აკრძალული აქვთ ამ გვარი მოქმედება. ხალხს ძველებური მაძა პაპის ჩვეულების გადაგდება არა ჭნდობია და ამისათვის აძლევს ხალხი, „პაპებს" ნებას, რომ ასრულონ ხოლმე ძველებურათ დადებული წესი და ჩვეულება. ერთი სიტუეთ სვანები „პაპებს" შეჭჩვევიან და მათ მოშორებას ვერა ჭბედვენ თავის გაშმაგებულ ცუდ-მორწმუნეობითა. „პაპები," უმეტესად, როცა მოიწვევენ, შედიან საყდარში და ზოგიერთს ლოცვას იტყვიან ხოლმე და ამისათვის მომწვეველმა „პაპას" ან ცხვარი უნდა დაუგლას ან ხბო, და სადილიც მოართვას, ხორაგი პაპას" სულ-ერთიანად თან მიაქვს თავის სახლში, და ამითი იჩჩენს თავსა; ნათლობა, ჯვარის-წერა, დამარხვა და წიწვა—სულ ამ გვარათ ჩაიგლის ხოლმე სვანისათვის, რომ „პაპის" ხელში ჩავარდება ეს საქმე.

მე ბევრჯელ მიკითხამს სვანებისათვის, რომ რა მიზეზით ეკკლესიებს და საყდრებს არა სწმენდენ ხოლმე, და წმინდათ და სუფთათ არ ინახვენ; მე მიპასუხეს რომ ჩვენ ისე ცოდვიანი კართო, რომ ცოდვილის ხელით წმინდა საგანს ჩვენ არ უნდა მიეკარებოთ. თუ მართლა ამისთანა რწმენა ჭქონიათ, ადგილათ დაეთმობათ და ეპატიებათ უწმინდურება ძველს სახტრებში.

სვანების ხოფლები უმთავრესად მთის გვერდებზედ მდებარეს, ხეობებში და ხრამებშიაც და ჯგუფ-ჯგუფათ არიან აშენებული; ხოფელსა და ხოფელს შუა, რაგორც ზემოთა ვსთქვეთ, ბუნებითი სამზღვრებია. ხოფელი შეიცავს ხუთი მოსახლე ოჯახიდამ—ოც-და-ათამდინ; ხან-და-ხან—მეტსაც; ათი ან თხუთმეტი ხოფელი, წარმოადგენს ერთს საზოგადოებას, ერთს სამამასახლისოს. რომელიმე დიდი ხოფლის სახელი—ეძლევა მრთელს სამამასახლისოს; ასე მაგალითად: „უშკულის" საზოგადოება დაარქვეს ხოფელ „უშკულის" სახელი; „ბეჩოს" საზოგადოება, „კალას," „მესტიას," „მულახის," „წვირმეშის," „ითვრის," „ხალდეს" და სხვა საზოგადოება—სულ ამ ხოფლების სახელებით იხსენებიან. სვანეთში არის ცხრამეტი საზოგადოება და თითო საზოგადოებაში მთავრობიდამ არის დაყენებული მამასახლისი, რომელსაც ყოველს ხოფელში თითო თანამშრომელი, ბოდიშნიკი ჭყავთ. აი მაგალითად ამ საზოგადოების ან სამამასახლისოების სახელები: „უშკული," „კალა," „ადიში," „მუყალი," „ითვრი," „წვირმეში," „მულახი," „მესტია," „ლენყერი," „ლატალი," „ბეჩო;" ეს თერთმეტი საზოგადოება „თავის-უფალ" სვანეთშია; დანარჩენი სხვა ორს სვანეთში: „ეთარი," „ჩუბიხევი," „ეწერი," „წალამარი," „ელი," „ლენტეხი," „ხალდე," „ჭოლუერი." ეს ყველაზე დიდი ხოფლებია, სადაც ორმოც-ორმოცი და ასი კომლი კაცი ცხოვრობს და თითო კომლში ათი და ოც-და-ათი სული. თითო ამ სამამასახლისოებს მრავალი პატარ-პატარა, ასე ოცი და ორმოცი კომლიანი ხოფლები ეკუთვნის; ზოგან ორი-და სამი კომლიანიც. გულს თუ არ გაგიწვრილებთ, პატიეცემულო მკითხველო, აქ დაგისახელებთ უმთავრეს სვანეთის ხოფლებს, იმას გარდა რაც ვსლა, ზემოთ მოგიხსენე: „ყიბლიანი; ჭუბიანი; ჭალარი; მურყმერი; ვიჩხანში; ლაიხორი; ლაღვირგა; აქ მონასტერიც არის ამავე სახელისა; ისთვრარი; დიგვერი; ადიში; ზეგანი; ბოდრეში, სუში; ზაგიარი; ტვიბერი; ჭაბანი; ნილაუბანი; ლამუნტი; ჭვანიანი; წალდაში; ჯაბეში; ყამეში; ჩოლი; ლახირი; არცხელი; მუშქერი; ლეგბრი; ზარდლაში; ლაგამი; ლანჭვანი; სეტი; ლეხთანი; ნეგული; ლემსი; ქაშუეთი; ასკატი; ნექსი; აწ; ხოლი; ლახუშტი; ლამი; ენაში; ლიბაში; ლიშეული; ითვხი; ლაშქაში; მაცხოვარში; შქალერი; ყვანხიანი; ლაიალი; ბაშლოლი; ლოლი; უშხვანრი; თებიში; თეთნაში; მაზერი; ნაშთეი; ბოლვალარი; ებათი; ნამხორი; ქვართვანი; სუნი; ტვიბერი; მაგარდერი; ლაფეხარი; ლეზგარი; ლაშხრელი; ლანტელი; უღვალი; ისქორი; ბარში; ყურაში; ჭერიერი; კაცხი; ზემოლია; ჯაბელახმეულდი; ლაკური; თოლითერი; ხოსრეარი; თვლეთი; თადმარი; ჩუბანი; კიჩხლიდა: ჯეგერანი; ლაიხრიაში; წალერი; ჯუხლანი; ერქვანი. მრავალი კიდევ სხვა პატარ-პატარა ხოფლებია; იმათ სახელებს არა ვსწერ, იმიტომ რომ ბევრს ადგილს დაიჭერს ჩვენს სტატიაში; და ამ ოთხმოც-და-თოთხმეტ ხოფელმა მაინც შეგაწუხათ მეგონია.

სვანებს აქვსთ ყოველისფერი, რაც რომ სჭირდებათ ცხოვრებაში; ტანსაცმელ ნაქსოვებს—თვითონა ქსოვენ; იარაღს—თვითონვე აკეთებენ; თოფის-წამალსაც, ვერცხლეულობასაც, ხან-და-ხან ოქროთ მოჭედილსაც თვითონვე სჭედენ, ერთი სიტუვით სვანებს სუფველაფერი საკუთარი აქვთ, ასე რომ სხვა მაზრებიდამ იქ არაფერი არ მიდის.

სვანეთში, სახელმწიფო გარდასახადს, ფოშტის ფულს, წელიწადში ოთხ-ოთხ მანათს იხდის ყოველი სვანი; და ამ ფულს ვერას გზით ვერ სშოულობს თავისის შრომით; ასე რომ ფულის საშოვნელათ ან პოლიციის ჩინოვნიკებს უნდა მიჭმართონ, ან უფრო ხშირად—მღვდლებს; და ფულში აძლევენ ცხვარსა, ხარს, ძროხას, რასმე ჭირნახულს, არაყსა იარაღსა რასმე ან რაიმე ნაქსოვებს. ეს ჩინოვნიკები და მღვდლები თავის ჯამაგირიდამ სვანების ფოშტის ფულს ისტუმრებენ და გამორთმეულ საქონელს ჭეზაანიან სამეზობლო მაზრებში—გასასყიდათ, ასე რომ თავნ-ფულზე ამათა, თითქმის ხუთასი სარგებელი (პროცენტი) მოსდით; ამ რიგათ, სვანებზედ არასდროს მთავრობის ვალი არა რჩება, თუმცა კი სალხს ძალიან ძვირათ უჯდება ეს გარდასახადი.

(შემდეგი იქნება)

კოტე სანინელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.